

შალვა ისევაძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ღამა ისევაძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი


ვუძღვნი

ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელის
აკადემიკოს ნიკო კაცხოვილის

ნათელ ხსოვნას

ღ ე ჯ მ ჯ ა უ ბ ი უ ლ ი
ღ ა გ ა ლ გ ა ლ ა ნ ო შ ა ნ ა ნ ი
ი ა რ ბ ჯ მ ლ უ რ ს ი ჯ ა გ უ ლ ი
ჟ რ ს ე ა ნ ჯ ე ე გ ი

ნ ი ბ ნ ი II



თბილისი 2009

ნაშრომი 2005 წელს გამოსული მესამე წიგნის: „დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეების“ გაგრძელებაა. მასში მოცემულია ინტროდუცირებული დაბალბალახოვანი ველური მცენარეების ბიოლოგია და მორფოგენეზი; მათი ზრდა-განვითარების ფენოფაზები; ბოტანიკურ-აგროტექნიკური ღონისძიებები; კლასიფიკაციები და პერსპექტიულ მცენარეთა წარმოებაში დანერგვის და დარაიონების საკითხები; დეკორატიული ყვავილნარები და ჩუქურთმის გამოყენება გამწვანებაში.

ჩვენი ორმოცდაათწლიანი კვლევა-ძიება დასრულებულია. რა თქმა უნდა, დაზღვეული არ ვიყავით დაშვებული ხარვეზებისაგან. შენიშვნები მათ შესახებ ჩვენს მიერ მადლობით იქნება მიღებული და, თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ, ამას გაითვალისწინებს ის სამი მადიებელი, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. დარწმუნებული ვართ, ჩვენი დეკორატორები და გამწვანების მუშაკები გამოიმუშავენ შესაფერის ხერხებს, გამოძებნიან თავისებურ ტექნიკურ საშუალებებს და მხატვრული შემოქმედების გზებს იმისათვის, რომ ქართულ არქიტექტურას და მხატვრულ ორნამენტულ მოტივებს, გაცოცხლებულს დაბალბალახოვანი მცენარეებით ყვავილნარებში, მიეცეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების შესატყვისი შინაარსი და იერი. ყოველივე ეს მწვანე მშენებლობაში და დეკორატიულ მებაღეობაში შექმნის ეროვნულ სტილს, ისე, როგორც ეს წარსულში შეძლეს ბრწყინვალე ოქრომჭედლებმა ბექა და ბეშქენ ოპიზარებმა.

რედაქტორი: რუზო გაგნიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: კარლო ტულუში
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ციალა ღვინიაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

2.4 ინტროდუცირებული (კულტურული) დაბალბალახოვანი მცენარეების ბიომეკოლოგია და გოტანიკურ-აბროტამნიკური ღონისძიებები

ამ ქვეთავში განხილულია ჩვენს მიერ დეკორატიულ მებაღეობაში, კერძოდ, გამწვანებაში (ორნამენტულ ხალებში, ქვის ბალებში, ყვავილნარებში, კლუმბი, არაბესკი, რაბატი და სხვ.) უკვე გამოცდილი და დანერგული 16 ოჯახის, 28 გვარის და 44 სახეობის მცენარე.

ამ ფართო ჯგუფში გაერთიანებულია დაბალმზარდი ბალახოვანი მცენარეები, რომლებიც ხასიათდებიან ტანდაბალი და გართხმული ფორმით, ვეგეტაციური ნაწილების ლამაზი შეფერილობით, ხანგრძლივი ყვავილობით, კრეჭვის საუკეთესო თვისებებითა და ამტანიანობით ამ ჯგუფის წარმომადგენლები დაბალმზარდი მცენარეებია — 10-15 სმ სიმაღლის. ფოთლები მარტივია, სხვადასხვა შეფერილობის. ყვავილები — წვრილი, მჭიდრო საგველისებრ ყვავილედშია შეკრებილი, შეუხედავი გვირგვინის ფურცლები მარტივი ან ხუთნაწილიანია. ფურცლები მწვანე ან სხვადასხვა შეფერილობისაა, ტყავისებური; პრიალა, მტვრიანა — 5, წარმოქმნის მილს, აქვს ერთი ბუტკო. ნაყოფი — კაკალი, თესლურა. ამ დიდი ჯგუფის წარმომადგენლები (ალტერნანთურა, ახირანთუსი, ირეზინე, კლდის დუმა (სედუმი), პირთეთრა, ქეცერია, კლდისვაშლა და სხვ.) გამოირჩევიან ტანდაბალი ჰაბიტუსით, ძლიერი დატოტიანებით, წვრილი ყვავილებითა და ფოთლის სხვადასხვა შეფერილობით.

ოჯახი ჯიჯილაყასებრი *Amaranthaceae* გვარი ალტმრნანთურა *Alternanthera*

სამშობლო სამხრეთი ამერიკაა. დაბალმზარდი 10-15 სმ სიმაღლის მცენარეა. ახასიათებს ძლიერი დატოტიანება, რაც მცენარეს უფრო კომპაქტურს ხდის. ფოთლები პრიალა, ჭრული საყვავილე ღერო 10 სმ-ის სიგრძისაა, სწორმდგომი, ყვავილელი — საგველა მარტოული. ყვავილედის

დიამეტრი 2-3 სმ-ია. ყვავილები — წვრილი, ღია მწვანე, შეკრებილი ტოტების ბოლოში, შეუხედავი. ნაყოფი თესლურაა. თესლი მწიფდება ზაფხულის ბოლოს. ნაყოფმსხმოიარობა გრძელდება დაახლოებით 1-1.5 თვე.

ალტერნანთურა მოითხოვს ღია, კარგად განათებულ ადგილს და ნოჟიერ და კირით მდიდარ ნიადაგებს. ალტერნანთურა მაღალდეკორატიული მცენარეა. გამოიყენება ორნამენტულ ყვავილნარებში, ხალიჩოვანი კლუმპების, რაბატების, არაბესკების, პარტერის, თემატიკური კომპოზიციების და ბორდიურების გასაფორმებლად.

შხვენიერი ალტერნანთურა *Alternanthera amoena*

სამშობლო ბრაზილიაა. დაბალმზარდი, ბალახოვანი, ხალიჩოვანი მცენარეა, სიმაღლით 5-10 სმ. ახასიათებს კომპაქტურობა და სქელი შეფოთვლა-დატოტიანება. ფოთოლი პრიალა, წაგრძელებულ-ოვალური ან ვიწრო ელიფსისებური, მოკლე ყუნწიანი. ყვავილუდი საგველაა, პატარა ზომის, თეთრი. მზეზე ფოთოლი ღებულობს ნარინჯისფერს, მუქი მწვანე ელფერიით, ხოლო შემოდგომით, პირველი ყინვების დადგომამდე, მცენარეები შეაქვთ სათბურში ან ორანჟერეაში. ამ პერიოდში სადღე მცენარეები მომწვანო ხდება.

კულტურაში ცნობილია მრავალი საბალო ფორმა, მათ შორის საყურადღებოა: 1. *A. amoena* var. *amabilis* Versch (*A. amabilis* Lem.). მწვანე ფოთლები მოწითალო-ნარინჯისფერი წინწკლებით. ფოთლის აღნაგობა და ზომა იგვეა, რაც ძირითად სახეობას აქვს. ტანდაბალი და კომპაქტური მცენარეა. 2. *A. a.* var. *atropurpurea* Hort. დაბალი და გაფარჩხულტოტებიანი მცენარეა. ფოთლები მქნამულ-წითელი, მუქი წითელი, იისფერი შეფერადების. 3. *A. a.* var. *Tuwel* Hort. ფოთოლი ფართოა და პრიალა, მუქი წითელი ფერის. 4. *A. a.* var. *rosea* Hort. დაბალმზარდი, კომპაქტური მცენარეა, ფოთოლი წვრილი, მოვარდისფრო-წითელი შეფერილობის. 5. *A. a.* var. *sessilis* Hort (*A. sessilis* Hort). დაბალმზარდი ბუჩქია. ფოთოლი წვრილი, მიწაზე გართხმული, ფოთოლი მუქი მწვანეა. 6. *A. a.* var. *Brilliantissima* Hort. დაბალმზარდია. ფოთოლი ელიფსისებრი, მწვანე შეფერილობის.

სუჭუჭა ალტერნანთერა *Alternanthera paronychoides*

საშობლო — ცვილონი. დაბალმზარდი და კომპაქტური მცენარეა. ფოთოლი ვიწრო ნიჩბისებრი, ოდნავ დახუჭუჭებული, ახასიათებს მოყავისფრო-წითელი ფერი, ხოლო კენწერული ფოთოლი მუქი ვარდისფერია. კულტურაში გავრცელებულია საბალო ფორმა *A. p. var. aureo nana*, რომელიც შედარებით ტანდაბალი მცენარეა. ღერო და ფოთლები მოოქროსფრო-ყვითელი შეფერილობისაა, რომელსაც ღია გრუნტში ღებულობის მხით განათებულ ადგილზე. ჩვეულებრივ კი მომწვანო ფერისაა.

მრავალფერა ალტერნანთერა *Alternanthera versicolor*

საშობლო — ბრაზილია. დაბალმზარდი, ძლიერ დატოტვილი, კომპაქტური მცენარეა, 15 სმ სიმაღლისა. ფოთლები ოვალური ან მომრგვალო, ფუქიმევიწროებული და ოდნავ ნაოჭიანია. ძარღვები მქნამული შეფერილობისაა. ღერო და ფოთლები მუქი წითელია მოთუთრო ლაქებით.

ბეტრიკის ალტერნანთერა *A. Bettrickiana*

საშობლო — ბრაზილია. ნაგალა, ძლიერ შეფოთილი, კომპაქტური მცენარეა. სიმაღლით 10-20 სმ-ია, ფოთლები ნიჩბისებრია, მწვანე, მოყვითალო-თეთრი ლაქებით, წვერში წაწვეტებული, გრძელყუნწიანი. კულტურაში გავრცელებულია:

A. B. var. aurea Hort. დიდი ბუჩქია, ფოთლები ოდნავ დახუჭუჭებული.

A. B. var. spathulata Hort. (*A. spathulata* Lem). გართხმული მცენარეა. დატოტვილი ღეროები და ფოთლები მუქი წითელი შეფერილობისაა.

ალტერნანთერა სითბოს მოყვარული მცენარეა, მოითხოვს ღია და მზიან ადგილებს. ეუება ნახევრად ჩრდილ ადგილებსაც. ორივე შემთხვევაში ნიადაგი უნდა იყოს ნოტიო. საბალო მიწა გარკვეული რაოდენობის საკვებ ნივთიერებას და სასუქის დამატებას მოითხოვს. რეგულარულად საჭიროებს მოვლა-პატრონობას, კერძოდ, ნიადაგის გამარჯვლას, მუდ-

მზად კრეჭას და უხვ მორწყვას. თბილისის პირობებში მრავლდება ვე-გეტაციურად (კალმებით და ბუჩქის დაყოფით). დაკალმება წარმოებს 16-20°C ტემპერატურის პირობებში გარეცხილ მსხვილმარცვალა მდინარის ქვიშაში. დაფესვიანდა 10-14 დღის განმავლობაში. კალმები ირგვებოდა წინასწარ მომზადებულ ყუთებში (საბალო მიწა და ქვიშა 2:1 შეფარდებით). ადრე გაზაფხულზე დაფესვიანებული კალმები ყუთებით სათბურში გადაიტანება და მზის სხივებისაგან საჭიროებს დაჩრდილვას. 40-50 დღის შემდეგ (აპრილი-მაისი) უკვე ფორმირებული მცენარეები ირგვება გაფორმებაში მუდმივ ადგილზე 5-8 სმ-ის დაშორებით. რთული ორნამენტების და პორტრეტების შექმნისას მცენარეებს შორის ინტერვალი უნდა შემცირდეს 3-4 სმ-ით. სარგავი მასალა სწრაფად განვითარდა და მიიღო სწორი ხალიჩის იერი, ხოლო მზის სხივებმა მცენარეებს მიაღებინა კაშკაშა შეფერილობა. ხალიჩა მოითხოვს მუდმივ კრეჭას. შემოდგომის ბოლოს (ოქტომბერი-ნოემბერი), სიცოცხლის დაწყებისას ალტერნანთურები ირგვება ყუთებში და ათავსებენ თბილ ორანჟერეებში 12°C ტემპერატურის პირობებში.

ალტერნანთურა მაღალდეკორატიული, ხალიჩოვანი მცენარეა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გამწვანებასა და ყვავილნარებში კომპოზიციების შესაქმნელად, ორნამენტულ ხალიჩებში, კლუმბებში, რაბატებში, არაბესკებსა და საბორდიურე გაფორმებაში.

გვარი ახირანთისი *Achyranthes* ახირანთისი *Achyranthes verschaffeltii*

სამშობლო — ბრაზილია. მრავალწლოვანი, სიმაღლით 15-25 სმ-ის დეკორატიული მცენარეა. ფოთოლი ოვალური, წვერი — გაყოფილი. მოყავისფრო-წითელი და ღია წითელი შეფერილობის, ძარღვიანია. ღერო მწკამულ-წითელია. ადვილად იტანს კრეჭას. კულტურაში ცნობილია შემდეგი საბალო ფორმები:

1. *A. V. fol. aurea-reticulata* Hort. ფოთლები მოოქროსფრო-ყვითელია. ღერო და ფოთლის წვერი — წითელი.

2. *A. V. brilliantissima* Hort. ბრილიანტისებრი ახირანთისი. ფოთოლი — ოვალურწაგრძელებულია, წაწვეტებული, ვარდისფერი და

მკვეთრად გამოსახული ძარღვებით ახირანთესი მოითხოვს ღია და მზიან ადგილს, ვითარდება ნახევრად დაჩრდილულ ადგილებშიც. უკეთესად იზრდება ნოყიერ ნიადაგში და მოითხოვს რეგულარულად რწყვას. მრავლდება კალმით თებერვალ-მარტში, თუმცა ბუჩქის დაყოფით გამრავლება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. ამისათვის გამოიყენება მსხვილმარცვალა ქვიშიანი საჩითილე ყუთები. 8-10 დღის დაფესვიანებული კალმები ირგვება წინასწარ მოშხადებულ საბალო მიწიან ყუთებში, რომელიც გადაიტანება სათბურში ან კვლსათბურებში. 30-40 დღის შემდეგ კარგად ფორმირებული მცენარეები გადაიტანება ღია გრუნტში. გაფორმებაში მაისის თვეში ირგვება, 8-10 სმ-ის დაშორებით შემოდგომის ყინვების დადგომის წინ მცენარეები ორანჟერეაში ინახება, ზომიერად ირწყვება და დროდადრო ნიაჲდება. ახირანთესი მაღალდეკორატიული მცენარეა, რომელიც ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობა-სა და ყვავილოვანი კომპოზიციების შესაქმნელად, კლუმბის, არაბესკის, რაბატის გაფორმებაში. უცვლელი მცენარეა ორნამენტული ხალიჩების, პორტრეტების და თემატური ყვავილნარების ასაგებად.

გვარი ირჲინე Iresine **ლინდენის ირჲინე Iresine Lindenii**

სამშობლო სამხრეთ ამერიკა — ეკუადორი. დაბალმზარდი, 20 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფოთოლი ოვალურ-ლანცეტაა. ყუნწი და ძარღვები მქნამული, წაწვეტებული. ფოთლის ზედა ფირფიტა მუქი წითელი ფერისაა, ქვედა — უფრო კაშკაშა შეფერილობის.

ჰერბსტის ირჲინე I. herbstii

სამშობლო სამხრეთ ამერიკა. დაბალმზარდი ხალიჩოვანი მცენარეა 20 სმ-მდე სიმაღლის. ფოთოლი ზედა მხრიდან ჩაღრმავებულია, მქნამული ფერის. ღერო კაშკაშა წითელია, ყვავილენი საგველაა. ყვავილი შეუხედავია, სასურველია მათი მოცილება. კულტურაში გავრცელებულია საბალო ფორმები: I. I. Herbstii Hook და I. Wallisi Hort. — ჰერბსტის

ირუზინე მოწითალო შეფერილობისაა, ფოთოლი მომრგვალოა, კენწერო გაორებულია. 2. *I. aurea reticulata* Hook — ფოთოლი მწვანე, წითელყუნწიანი და მოოქროსფრო ყვითელი ლაქებით ღერო წითელია. 3. *I. Lindenii formosa (reticulata)* — ყვითელფურცლიანი, ძარღვები — მწვანე. ღერო წითელია. ირუზინე სითბოს მოყვარული მცენარეა. მოითხოვს განათებულ, ღია და მზიან ადგილს, თუმცა ვგუება ნახევრად დაჩრდილულ პირობებსაც. საჭიროებს ნიადაგის გამარგვლას, მცენარის კრეჭასა და რეგულარულ რწყვას. საბალო მიწა მდიდარი უნდა იყოს საკვები ნივთიერებებით.

ოჯახი მსუქანასებრნი *Grassulaceae* DC. გვარი კლდისდუმა *Sedum* L.

ცნობილია კლდისდუმა 180 სახეობა, რომლებიც კავკასიის, კრძოდ, საქართველოს გარდა გვხვდება ამერიკაში, ევროპაში, აზიაში. აქედან ველურად მზარდი 70 სახეობამდე იზრდება მშრალ, ქვიან და ღორღიან ფერდობებზე, ტყეებსა და ტყის პირას, ნაშალებზე, თიხნარ და ქვიშნარ ადგილებში. ამ გვარის მცენარეები წარმოადგენენ ფოთლოვან სუკულენტებს, ფუნჯფესვებიან უროზუტო ხამეფიტებს, მრავალწლოვან ან ერთწლოვანებს. ბუნებაში და კულტურაში ქმნიან მჭიდრო კორდს. დაბალმზარდები, სიმაღლით 10-20 სმ-მდე. ღერო — სწორმდგომი, მწოლიარე, მზოხავი და ადვილად დამაფესვიანებელია. ფოთლები მსხვილი, ხორცილანი, ყვავილედის სიგრძე 15 სმ-მდეა. სწორმდგომი ყვავილუდი არის საგველა, ფარისებრი ან ქოლგისებრი; ყვავილედის დიამეტრი 3-4 სმ-ია. ყვავილი თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი და ფორმით ვარსკვლავისებრი. ნაყოფი — თესლურია. თესლი წვრილია (სიგრძე 0.1-0.3 მმ), მწიფდება ზაფხულში. თესლმსხმოიარობის ფაზა გრძელდება დაახლოებით 30-40 დღე. მოითხოვს ღია, მზიან და კარგად განათებულ ადგილს. ზოგიერთი სახეობა ვგუება ნახევრად ჩრდილს. მოულა მდგომარეობს ნიადაგის გამარგვლასა და ზომიერ რწყვაში. კარგად ვგუება ყინვას და სიმშრალეს. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (კალმებით, ბუჩქის დაყოფით). მაღალდეკორატიული მცენარეა. თბილისის პარკებში ითვლება ერთერთ ნიადაგდამფარავ და ხალიჩოვან მცენარედ.

გამოიყენება გამწვანებაში: ლანდშაფტურ და ორნამენტული ყვავილნარების გაფორმებაში. ითვლება გაზონის შემცველად. ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობაში, როგორც სამკურნალო მცენარეს, აქვს ფარმაცევტული თვისებები და აგრეთვე გამოიყენება კულინარიაში. მრავლდება ვეგეტატიურად (კალმებით), კალმის დაშორება სადღე მცენარისგან ადრე გაზაფხულზე (თებერვალი) ხდება. 6-10 დღის შემდეგ (მარტი) დაფესვიანებული კალმები ირგვება ყუთებში და თავსდება სათბურში (სტელაჟებზე) 12-18°C ტემპერატურის პირობებში. ქვიშის ზედაპირი უნდა გასწორდეს და მოირწყოს. კალმები ქვიშიან ყუთში 3 სმ დაშორებით ირგვება. დაფესვიანება 7-10 დღეში ხდება, მოგვიანებით დაფესვიანებული კალმები ირგვება წინასწარ მოშხადებულ საბალო მიწიან ყუთში. მიწის შემადგენლობა: 1 წილი ბელტის მიწა, ფოთლის ნეშომპალა, 0,5 წ. ნაკელი და 1 წ. ქვიშა. მცენარეები ადაპტაციისა და გასაკაჟებლად (აპრილი) გრილ კვალსათბურში გადაიტანება. მცენარეები პერიოდულად დაჩრდილვასა და განიაჟებას საჭიროებს. აგროტექნიკური ღონისძიებებიდან საჭიროა: გამარგვლა, გაფხვიერება, მორწყვა და წყლით შესხურება. მცენარის ფორმირება და კომპაქტური ბუჩქის მისაღებად ხდება წვერის წაჩქმეტა, რომელიც კვლავ საკალმე მასალად გამოიყენება. თბილი ამინდის დადგომისას (აპრილი) დაფესვიანებულმა კალმებმა მიიღეს კომპაქტური იერი, შესაძლებელი გახდა მათი გადატანა მუდმოვ ადგილზე. დარგვის მანძილი 8-10 სმ-ია. გაფორმებულ ყვავილნარებში მცენარეების მოულისათვის საჭიროა: მორწყვა, გაფხვიერება, გამარგვლა და რეგულარული კრეჭა.

კლდისღუმე Sedum

დაბალბალახოვანთა ვკუფის ერთ-ერთი პერსპექტიული წარმომადგენელია. მრავალწლოვანი მცენარეა; ველურ სახეობებს შორის ერთწლიანებიც გვხვდება; სიმაღლით 5-10 სმ აღწევს. ქმნის ერთფეროვან მწვანე, ლევა, რუხი და ყვითელი შეფერადების ხალიჩას. კულტურული სახეობები ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში. საბალო ფორმები გამოირჩევიან განსაკუთრებული ბიოლოგიური აგებულებით, კერძოდ მრავალრიხოვანი დატოტნიანებით ქმნიან მჭიდრო კორდს. გენერაციული ნაწილები აღმაჯალია. ფოთოლი ხაზურა, სადგისისებური, წვრილი, ღია-მწვანე. ყვავილის ღერო

სწორმდგომი, 6 სმ-მდე სიგრძის. ყვავილელი ფარისებრი, 2-3 სმ დიამეტრის. ყვავილი — თეთრი, ყვავის ფენისის შუა რიცხვებში — 25-30 დღე. თესლი მწიფდება ფელის-აგვისტოში და გრძელდება 30-40 დღე.

წითელსორცოვანი კლდისღუმას *S. carneum* L.

საშობლო ჩინეთი და იაპონიაა. ახასიათებს სწრაფი ზრდა. ტანდაბალი, გართხმული მცენარეა, ძლიერ დატოტიანებული. საყვავილე ღერო 15 სმ აღწევს. ფოთოლი ღია მწვანეა, ხორცოვანი, ხაზურა-ლანცეტა ფორმის.

ცისფერი კლდისღუმას *S. glaucum* L.

საშობლო სამხრეთი ევროპა და ჩრდილო აფრიკაა. ფოთოლი ვერცხლისებრ-რუხი ფერისაა, ცისფერი ელფერიით ფორმით კვერცხისებრ-მომრგვალოა, ზომით პატარაა, წვრილი, 3-5 მმ სიგრძის.

ყვითელი კლდისღუმას *S. lyidium* Boiss.

საშობლო მცირე აზიაა. ტანდაბალი, გართხმული ფორმის. ფოთოლი ოქროსფერ-ყვითელი, მწვანე ფერისაა. ზომით პატარაა, ხაზურა, 3-5 მმ სიგრძის.

გადაღუნული კლდისღუმას *S. reflexum* L.

საშობლო — დასავლეთ ევროპა. ბუნებაში იზრდება ქვიან ფერდობებზე, ნაშალებსა და ქვიშიან ადგილებში. ფესურიანი ხამეფიტი, მრავალწლოვანი მცენარეა. დაბალმზარდი, 15 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ყლორტები აღმაჯალია, მცოცავი. გენერაციული ორგანოები სწორმდგომია. ფოთოლი ხაზურა სადგისისებრი, ხორციანი. ყვავილედის სიგრძე

12-15 სმ-ია, სწორი. ყვავილელი ფარისებრია, მისი დიამეტრი 4-6 სმ-ია. ყვავილი — ყვითელი, ვარსკვლავისებრი. ყვავის ზაფხულში (ოგნისის დასაწყისში) 25-30 დღის განმავლობაში. თესლი მწიფდება შუა ზაფხულში. თესლმსხმოიარობის პერიოდი გრძელდება ერთი თვე.

ქმსრიბიანი კლდისღუმა *S. sexangulare* L.

სამშობლო დასავლეთ ევროპაა. ფესურებიანი ხამეფიტია. დაბალმზარდი, ნიადაგდამფარავი, კორდის მჭიდრო შემკვრელი, სიმაღლით 5-10 სმ აღწევს. ყლორტები — მცოცავი, მჭიდროდ დატოტვილი და შეფოთლილი, გენერაციული ნაწილები აღმაჯალია. ფოთოლი ცილინდისებრ-ხაზურა, ყვავილელის ღერო (10 სმ სიმაღლე) სწორმდგომი. ყვავილელი ნახევრად ქოლგისებრი, 2-3 სმ დიამეტრის. ყვავილი — ყვითელი, წვრილი. ყვავის ზაფხულის დასაწყისში (მაის-ოგნისი). თესლი მწიფდება შუა ზაფხულში. თესლმსხმოიარობის პერიოდი გრძელდება 1-1.5 თვე.

ცრუ კლდისღუმა *S. spurium* Bieb.

სამშობლო — კავკასია. ბუნებაში გვხვდება კლდოვან ფერდობებზე, ნაშალებზე, ქვა-ღორღიან ადგილებში, ზღვის დონიდან 1000-3500 მ-ზე. მარადმწვანე, ნახევრად როზეტიანი ხამეფიტი მცენარეა. მრავალწლოვანი, დაბალმზარდი, ნიადაგდამფარავი, 6-12 სმ სიმაღლის მცენარეა. მწოლიარე, გენერაციული, ყლორტები აღმაჯალი. ფოთოლი — ხორციანი, მსხვილი კვერცხისებრი, კიდები ბლაგვი (2 სმ სიგრძე 0.5-0.7 სმ სიგანე), მუქი-მწვანეა. ყვავილელის ღერო 10-12 სმ-მდეა. სწორმდგომი, მჭიდრო. ყვავილელი ფარისებრია, რომლის დიამეტრი 4-6 სმ-ია. ყვავილი ვარდისფერი, მქაშული (დიამეტრი 1-1.5 სმ). ყვავის ზაფხულის ბოლოს. თესლი მწიფდება ზაფხულის ბოლოს. თესლმსხმოიარობის პერიოდი გრძელდება ერთი თვე.

ყლორტიპიანი კლდისღუმა *S. stoloniferum* S. G. Gmel.

საშობლო კავკასია. ბუნებაში გვხვდება ტყეებსა და ტყის ნაპირებზე. ფერდობებზე, მდელოებზე, ზღვის დონიდან 600-2500 მ-ზე. ხამეფიტი, მრავალწლოვანი, დაბალმზარდი, ნიადაგდამფარი, 15 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ყლორტები მცოცავი, მწოლიარე, ოდნავ აღმავალია. ფოთოლი ბრტყელი, ყვაილელი (15 სმ სიგრძის) სწორმდგომი. ყვაილელი ქოლგისებრია, ყვაილი — ვარდისფერი. ყვავის ზაფხულში 20-30 დღე. თესლი მწიფდება ზაფხულის ბოლოს. თესლის მომწიფებას სჭირდება 30-40 დღე. მოითხოვს კარგად განათებულ ღია და მზიან ადგილს, ხოლო ზოგიერთი სახეობა ნახევრად დაჩრდილულ ადგილებშიც ვითარდება. ნიადაგისადმი არ არის მომთხოვნი, მაგრამ უკეთესად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე. ყინვა და სიმშრალის მოყვარული მცენარეა, მოითხოვს ზომიერ რწყვას. მრავლდება თესლით (გაზაფხული, შემოდგომა) და კალმებით, ბუჩქის დაყოფით — მთელი წლის განმავლობაში. კალმის დაფესვიანებას 6-8 დღე სჭირდება. დაკალმება და ბუჩქის დაყოფა შესაძლებელია გაფორმების ნაკვეთში. მორწყვა — ზომიერი. კარგად იტანს კრეჭას.

დეკორატიულ მებაღეობაში და გამწვანებაში კლდის ღუმა წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან სახეობას, რომელიც ეკუთვნის დაბალბალახოვან მცენარეთა ჯგუფს. ყვაილოვან კომპოზიციებში ამ მცენარეებისაგან შექმნილი ხალები განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება. კლდის ღუმა წარმოადგენს მოლის (გაზონის) შექმნის საუკეთესო საშუალებას.

ოჯახი მიხაკისებრნი *Caryophyllaceae* Juss.**გვარი პირთმთრა *Cerastium* L.**

საშობლო — კავკასია, სამხრეთ ევროპა, ამერიკა, ყირიმი. პირთთრა დაბალმზარდი, 10-15 სმ-ის მრავალწლოვანი მცენარეა. იგი როზეტს არ იწვეთებს და მარადმწვანე ფუნჯაფესვიანი ხამეფიტია. მისი გართხმული ყლორტები წარმოქმნიან მჭიდრო კორდს. ღერო პლაგიოტროპულია, ფოთოლი წვრილი ზომისაა, ლანცეტა, მოპირისპირედ განლაგებული, ხაზური ფორმისაა, ყვაილედის სიმაღლე 15 სმ-ია, სწორმდგომი. ყვაილელი ფარისებრია. ყვაილი — თეთრი. ფესვები დატოტიანებულია და განლაგებულია ნიადაგის ზედაპირზე.

პირთეთრა მოითხოვს კარგად განათებულ და შზიან ადგილს, თუმცა ზრდა-განვითარება შეუძლია ნახევრად ჩრდილშიც. ოროვე შემთხვევაში ნიადაგი უნდა იყოს მუდმივად ნოტიო და საკმაოდ ნაყოფიერი, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში. წყლის ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ყვავილობის ხარისხზე და ბუჩქის კომპაქტურობაზე. მოვლისას უპირველესად საჭიროა, ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება, გამარგელა და მორწყვა. ყინვის ამტანი და სიმშრალის მოყვარული მცენარეა. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად. ნათესარები ყვავილობენ მეორე წელს.

პირთეთრა მაღალდეკორატიული მცენარეა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გამწვანებაში, ყვავილოვანი კომპოზიციების (პარტერი, კლუმბა, რაბათი, არაბესკი და კლდოვანი ნაკვეთის) გასაფორმებლად. იგი კორდის შემქმნელი და ნიადაგდამფარავი მცენარეა, რომელიც გაზონის საუკეთესო შემცველია.

ცნობილია პირთეთრას 100-მდე მრავალწლოვანი და ერთწლოვანი სახეობა, მცენარე გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. ქვემოთ განხილული სახეობები დეკორატიულ მებაღეობაში ფართოდაა გავრცელებული. თბილისის პირობებში შედარებით გამძლეა ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების მიმართ და ინარჩუნებენ დეკორატიულ ღირებულებებსა და თვისებებს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

ქჩისებრი პირთეთრა *C. tomentosum* L.

საშობლო — კავკასია, ყირიმი, სამხრეთ ევროპა, შუა და სამხრეთ იტალია. უროზეტო ფუნჯა ფესვიანი, ბალახოვანი ხამეფიტია. იგი დაბალშარდი 8-10 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. გართხმული ღეროები თეთრი ქჩისებრია, პორიზონტალურად განლაგებული, უნაყოფო. ფოთოლი ხაზურა ან ხაზოვან-ლანცეტა, წვრილი. ფოთლები და ღერო დაფარულია ვერცხლისფერ ქჩისებრი ბეწვებით. საყვავილე ღერო წამოწეულია, სიმაღლით 15 სმ-მდე. ყვავილები პატარა, 0.5-0.7 სმ-მდე დიამეტრის. ყვავილობს მაისს-ივნისში. კარგად ნაყოფმსხმოიარობს. ნაყოფი კოლოფია. თესლი წვრილი, სიგრძით 0.2-0.3 სმ, შავი. თესლი მწიფდება ზაფხულის დასაწყისში. თესლმსხმოიარობის პერიოდი მოიცავს 1-1.5 თვეს.

ქეჩისებრი პირთუთრა ვეგეტაციას ადრე გაზაფხულზე იწყებს, რაც შემოდგომის პირველ ყინვებამდე გრძელდება. ყინვა და სიმშრალისადმი გამძლე მცენარეა. მოითხოვს განათებულ და მზიან ადგილს. კარგად ვითარდება ფხვიერ და წყლის კარგი გამტარიანობის მქონე ნიადაგებზე. საჭიროებს ზომიერ მორწყვას. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. კლოფში თესლი მრავალრიცხოვანია და წვრილი. თესვისას უმჯობესია, დაითესოს მიწაშერეული. თესვა წარმოებს წინასწარ მომზადებულ ყუთებში. თესლის აღმოცენება ხდება თესვიდან მე-14-15 დღეს. ჯგუთვა (პიკირება) ტარდება, როდესაც ვითარდება მეორე წყვილი ნამდვილი ფოთოლი. კალმით გამრავლება ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ტარდება. დაკალმება სასურველია, ადრე გაზაფხულზე ჩატარდეს ღია გრუნტში. კალმები სადღე მცენარეებიდან იჭრებოდა, მისი დაკალმება (ფესვის ჩასახვა) 10-14 დღეში შეინიშნებოდა. დაფესვიანებული მცენარეების გადარგვა ყუთებში ან მუდმოვ ადგილზე გრუნტში ხდება. ბუჩქის დაყოფით გამრავლება იმავე პერიოდს უკავშირდება, რომელშიც კალმით გამრავლება ხდება ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. სადღე მცენარეების ასაკი 4-5 წელს უნდა უდრიდეს და დაყოფილი მცენარეები ირგება მუდმოვ ადგილზე.

ქეჩისებრი პირთუთრა ნიადაგდამფარავი მცენარეა და საუკეთესო მასალაა ყვავილნარების გასაფორმებლად, ქვის ბალებსა და ფერდობებზე ეროზიული მოვლენების აღსაკვეთად.

ბიბარშტაინის პირთუთრა *C. biebersteinii* DC.

სამშობლო — კავკასია, ყირიმი და სამხრეთ ევროპაა. როზეტი, ფუნჯაფესვებიანი ხამეფიტი მცენარეა. იგი დაბალმზარდი — 15 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა. ვეგეტაციური ღერო დატოტვილია, წამოწეული ღერო ხშირი, ქერქისებრი ბქვებითაა დაფარული, ღია ვერცხლისფერია, უნაყოფო. ფოთლები ხაზურა ან წაგრძელებულ-ლანცეტიანებურია. საყვავილე ღერო 12 სმ სიგრძისაა, ძლიერ შებუსული. ქვედა წამოწეული ყვავილელი ფარისებრია. ყვავილი თუთრია, ყვავილის დიამეტრი — 0.5-0.7 მმ. უხვი ყვავილობა ახასიათებს, რომელიც შეიმჩნევა მაისის პირველი ნახევრიდან და გრძელდება 45-50 დღე. ახასიათებს კარგი ნაყოფმსხმოიარობა. ნაყოფი კლოფია, ხოლო თესლები წვრილი და შავია.

ვეეტაცია იწყება მარტის დასაწყისში და შემოდგომაზე, ნოემბრის მეორე დეკადამდე მთავრდება. გაფორმებაში მოითხოვს ღია და მზიან ადგილს, დიდი რაოდენობით ტენს ვერ იტანს. კარგად ვითარდება თიხნარ და წყალგამტარ ფხვიერ ნიადაგებზე, მასზე ასევე დადებითად მოქმედებს ორგანული სასუქი. მრავლდება თესლით, კალმით და ბუჩქის დაყოფით. კალმით გამრავლება სასურველია ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით. აგროტექნიკა იგოვია, რაც ქეჩისებრი პირთუთრასათვის, იმ განსხვავებით, რომ დაკალმება შეიძლება წელიწადის ყოველ დროს. დეკორატიულ იერს ღებულობს დაკალმებიდან მეორე წელს. თესლით გამრავლება ჩატარდა (თებერვალ-მარტში) წინასწარ მომზადებულ ყუთებში ან უშუალოდ გრუნტში. ორანჟერეის პირობებში დათესილი აღმოცენდება 14-16 დღეში. ჯგუთვა წარმოება, როდესაც ვითარდებოდა 1-2 წყვილი ნამდვილი ფოთლები. ღია გრუნტში სარგავი მასალა 30-40 დღის შემდეგ ღებულობს დეკორატიულ იერს. პირთუთრა ყინვა და გვალვამძლეა. ზამთარში, მაღალი ყინვების შემთხვევაში, პირთუთრას მიწის ზედა ნაწილი არ ზიანდება, მაგრამ თოვლის ან წვიმის შემდეგ ქეჩისებრი ვერცხლისფერი ბეწვები კარგავენ ფერს და ხავერდოვნებას. მცენარის აღდგენა და ვეტაცია იწყება ადრე გაზაფხულზე და დიდხანს ინარჩუნებს დეკორატიულ იერს.

მსხვილყვავილა პირთუთრა *C. grandiflorum* Waldst. et Kit.

იზრდება მდელოებზე, კლდეებზე და ქვა-ლორღიან ადგილებზე. დაბალმზარდი, ნიადაგდამფარავი, სიმაღლით 10-15 სმ-ია. როზეტს არ ინვითარებს და არის ფუნჯაფესვებიანი ხამეფიტი. მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები მოთუთრო ქეჩისებრია, ყვავილი თუთრია, დიდი ზომის. ყვავილობს უხვად მაის-ივნისში. თესლი მწიფდება ზაფხულში. თესლმსხმოიარობის პერიოდი გრძელდება 30-45 დღე. მცენარის დარგვა წარმოებს ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომის დასაწყისში. მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებაში, გამარგვლასა და ზომიერ მორწყვაში. ღია გრუნტში პირთუთრა დაიარო ადრე გაზაფხულზე (თებერვალი-მარტი) ან შემოდგომაზე (ოქტომბერ-ნოემბერი). აცივების შემთხვევაში ახლად დაყოფილი ან გადარგული მცენარეები არ მოით-

ხოვენ დაჩრდილვას. დარგვისას მცენარეებს შორის მანძილი 10-15 სმ-ია. ზოგჯერ დარგვა წარმოებდა ახლო-ახლო მანძილზე, რათა მათი დეკორატიული ეფექტი დაჩქარებულიყო, თუმცა საჭიროა გამოხშირვაც. პირთუთრა წელიწადში ერთხელ მოითხოვს კრეჭას. ადრე გაზაფხულზე გაკრეჭილი მცენარეები წარმოქმნიან სწორ და მჭიდრო დეკორატიულ ხალიჩას. პირთუთრას კულტურული სახეობები, ისევე, როგორც ველურად მზარდი, მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად (კალმით და ბუჩქის დაყოფით). თესლი ითესება ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე, ხოლო კალმით ან ბუჩქის დაყოფით გამრავლება შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ხდება. თესვა წარმოებდა წინასწარ მომზადებულ ყუთებში ან კვლებში. ჯგუთვა ტარდებოდა პირველი ნამდვილი ფოთლის განვითარების პერიოდში 3-5, სმ-ის დაშორებით ჯგუთვის შემდეგ 10-15 დღეში ნათესარები გადაირგა მუდმივ ადგილზე. პირველ დღეებში ნორმალური განვითარებისათვის ნიადაგში შექონდათ თხევადი მინერალური სასუქი. მოვლა ითვალისწინებს ნიადაგის გაფხვიერებას, გამარჯვლას, რწყვას და მცენარის კრეჭას. ხშირად პირთუთრას ფესვთა სისტემაში ვითარდება სარეველები, რომლებიც ხელს უშლიან მცენარის ნორმალურ განვითარებას. დროული აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება მათი ნორმალური განვითარების გარანტიას იძლევა. ერთმანეთში გადახლართული ყლორტები იწვევენ მცენარეთა დეგრადაციას. ამ დროს საკვები ნივთიერების მიღება ნაკლებად წარმოებს და მცენარე კარგავს დეკორატიულობას. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ჩატარდეს მცენარეების დაყოფა და დარგვა. პირთუთრა ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მყვავილეობასა და გამწვანებაში: კლუმბების, რაბატების, ალპინარიუმების, მიქსბორდერების და ქვიანი ნაკვეთების გასაფორმებლად, როგორც ნიადაგდამფარავი მცენარე, ის წარმოადგენს საუკეთესო მასალას გაზონის შესაცვლელად.

ოჯახი მსუქანასებრი Grassulaceae DC.
გვარი კლეინია Kleinia
მცოცავი კლეინია Kleinia repens Hort.

სამშობლო — სამხრეთ აფრიკა. დაბალმზარდი, 12 სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო და ფოთოლი ხორცოვანია. ღვება-მწვანეა. ფოთოლი ცილინდრულია, წაწვეტებული (სიგრძე — 3-4 სმ, სიგანე — 7-8 სმ). მოითხოვს ღია, კარგად განათებულ და მზიან ადგილებს. ნიადაგისადმი არ არის მომთხოვნი, მაგრამ საუკეთესოა პერიოდში (დარგვის წინ) საჭიროებს სასუქის შეტანასა და ზომიერ რწყევას. ადვილად მრავლდება (გაზაფხულზე) კალმით და ამონაყრით დაკალმება ხდება წინასწარ მომზადებულ ნიადაგში, ყუთებში, რომლებიც თბილ ადგილზე იდგმება. ლპობის თავიდან აცილების მიზნით პირველ დღეებში უმჯობესია, კალმები არ მოირწყას. მუდმივ ადგილზე გაფორმებაში ირგება 3-8 სმ-ის დაშორებით შემოდგომის დადგომისას სადღეე მცენარეები შეტანილ იყო ორანჟერეაში 8-10°C ტემპერატურის პირობებში. ამ დროს ზომიერად ირწყვება. გამწვანებასა და დეკორატიულ მებაღეობაში გამოიყენება კლუმბის, რაბატის, არაბესკისა და არშიების შესაქმნელად.

ოჯახი ასტრისებრნი (როთლეყვილოვანნი) Asteraceae Dumort.
გვარი ბერულა Gnaphalium L.
ბუსუსიანი ბერულა Gnaphalium lanatum Hort.

სამშობლო სამხრეთ აფრიკა. მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, 30 სმ-მდე სიმაღლის. ფოთოლი წვრილია და ოვალური (1.5-2.5 სმ სიგრძის და 0.8-2 სმ სიგანის). მრავლდება კალმით სადღეე მცენარე გამოსაზამთრებლად შეაქვთ ორანჟერეაში. კალმების აჭრა ხდება (თებერვალ-მარტში) სადღეე მცენარეებიდან. კალმები ირგება ქვიშიან ყუთებში 6-10°C ტემპერატურის პირობებში, მორწყვა ზომიერი უნდა. გნაფალიუმი მუდმივ ადგილზე 5-10 სმ-ის დაშორებით ირგება. შემოდგომის ყინვების დაწყებამდე მცენარეს ქოთანში ვრგავთ და ცოცხ ორანჟერეაში ვათავსებთ მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გამარჯვლაში, გაფხვიერებასა და რწყვაში. ფართოდ გამოიყენება გამწვანებასა და დეკორატიულ მებაღეობაში, ყვეუილნარების შესაქმნელად. ირგება კლუმბებში, რაბატებსა და არაბესკებში.

ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეები, მათი ბიოლოგია, აგროტექნიკა და გამოყენება

დაბალბალახოვანი, ნიადაგდამფარავი და ხალიჩოვანი მცენარეების ჯგუფში ზოგიერთი ერთწლოვანი მცენარეებიც (ყვავილი) შედის, რომელთაც გააჩნიათ მრავალი მონათესავე ბიოლოგიური თვისებებები და ბოტანიკურ-მორფოლოგიური აღნაგობა. დეკორატიულ ყვავილნარებში მათი გამოყენებისათვის აგროტექნიკური ღონისძიებები და ბიოლოგიური თვისებებიც ერთმანეთს ემთხვევა.

ერთწლიანი მცენარეები ეწოდება ყვავილოვანთა ჯგუფს, რომლებიც გასაფორმებელ-დეკორატიულ ნაკვეთში ერთი სევეტაციო პერიოდით ხასიათდება. ერთწლოვანი კულტურების ჯგუფში შედის სამხრეთის ქვეყნებიდან შემოტანილი მრავალწლოვანი მცენარეები, როგორებიცაა: ციცინო, ლომისყბა, ვერბენა, პეტურია, საღვია, სურნელოვანი თამბაქო და სხვ. ეს მცენარეები შეეთვისა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, თუმცა ამან გამოიწვია სასიცოცხლო ფორმის სევეტაციო პერიოდის შეცვლა. თუ ადრე მათი ვეგეტაცია მრავალ წელს გრძელდებოდა, ახალ ბუნებრივ პირობებში სასიცოცხლო ციკლი თესვიდან თესლის მომწიფებამდე გრძელდება და ეს ბიოლოგიური პროცესი ერთ წელიწადში სრულდება. ანალოგიური თვისებები გააჩნიათ ნიადაგდამფარავ და ხალიჩოვან მცენარეებსაც. მათ სამშობლოდ სამხრეთის ცხელი ქვეყნები ითვლება, სადაც სევეტაციო ციკლი მრავალ წელს გრძელდება. ჩვენ პირობებში გადმოტანის გამო ეს კულტურები გადაიქცნენ სეზონური დარგვის მცენარეებად, რათა ადგილობრივი ბუნებრივი პირობები მკაცრი აღმოჩნდა. ცნობილია, რომ ზამთრის პირობებში კულტურული ხალიჩოვნები კვალსათბურებსა და ორანჟერეებში ინახება.

ჩვენ მიერ შესწავლილი დეკორატიული ერთწლოვანი მცენარეები გამოირჩევიან დიდი პერსპექტიულობით, მათ ახასიათებთ დაბალტანადი, ნაგალა აღნაგობა, უხვი და ხანგრძლივი ყვავილობა; მათი ფოთლოვან-დეკორატიული მოზაიკა ეფექტურად ერწყმის ნიადაგდამფარავ და ხალიჩოვან მცენარეთა კომპოზიციებს, ხოლო მათი აგროტექნიკური ღონისძიებების წარმართვა სრულდება საერთო და ერთობლივი ინსტრუქციებით და მეთოდური წინადადებებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთწლოვანები თესვის შედეგად მთ-

ლი ვეეტაციის პერიოდში ანუ წელიწადის განმავლობაში ღებულობენ განვითარებულ და ჩამოყალიბებულ იერს, ყვავილობენ, ნაყოფმსხმოი-
არობენ (თესლმსხმოიარობა) და იღუპებიან. მთელი ბიოლოგიური ცი-
კლი მოიცავს ერთ წელს და ამ მოკლე მონაკვეთში მცენარეთა ვერცერთი
ჯგუფის წარმომადგენლები ვერ აღწევენ ისეთ დეკორატიულ აღმავლობას
და ეფექტს, როგორც ერთწლოვანი კულტურის ისეთი წარმომადგენლები,
როგორებიცაა: ალისუმი, აგერატუმი, ხავერდულა, პეტუნია და სხვ.

დაბალბალახოვანი, ნიადაგდამფარავი და ხალიჩოვანი მცენარეების
ასორტიმენტის გამდიდრება და გაფართოება ერთწლოვანი ყვავილოვანი
კულტურების ხარჯზე, საესებით სწორი და მიზანშეწონილია. ამ მიზნით
შესწავლილია და ჩვენს შრომაში ჩართულია ერთწლოვანი მცენარეები, რო-
გორც დამხმარე და ერთადართი ჯგუფი დაბალბალახოვანი მცენარეებისა,
რომლებიც წარმატებით გამოიყენება გამწვანებასა და კეთილმოწყობაში.

გვარი **СЫСЫН** *Ageratum L.* **СЫСЫН** *Ageratum mexicanum Sims*

სამშობლო — მექსიკა და პერუ. კულტურაში ცნობილია 30 სახეო-
ბა. ციციხო ფართოდ არის გამოყენებული დეკორატიულ მყვავილეობასა
და მებაღეობაში; კულტურაში მიღებულია მრავალრიცხოვანი ჯიშები და
ვარიანტები.

მექსიკური ციციხო მიეკუთვნება მრავალწლოვან ბალახოვან
მცენარეებს. თბილისის პირობებში კულტურირებულია, როგორც ერთწ-
ლოვანი მცენარე. იგი სწორმდგომია და აღწევს 30 სმ სიმაღლეს. ხასიათ-
დება უხვი დატოტვიით ფოთლები სამკუთხა, ფუძესთან გულისებრი და
დაკბილულია. ფოთლის ყუნწი და ღერო შებუსებულია. საყვავილე ღერო
სწორმდგომია, 25 სმ სიმაღლის. ყვავილედი კალათა, ყვავილები ვიწრო-
მილისებრი, წვრილი და სურნელოვანია. გვხვდება ცისფერი, თეთრი და
მოლურჯო-მოცისფრო შეფერილობის. უხუად ყვავის ოგნისიდან (10.06)
გვიან შემოდგომამდე (20.10). ნაყოფი თესლურაა, თესლი წვრილი, მოშა-
ვო ყავისფერია, მოგრძო. გრამში 5000-6500 თესლია. თესლი მწიფდება
ზაფხულში, ყვავილობიდან 3-4 კვირის მერე. თესლის შეგროვება ხდება
თანდათანობით (30.07-25.10).

აგერატუმი კარგად იზრდება ღია განათებულ ადგილებზე. სითბოს

და სინათლის მოყვარული მცენარეა. კარგად იზრდება ნოჟიერ ნიადაგში. მკვე ნიადაგები უარყოფითად მოქმედებს მის ზრდა-განვითარებაზე. მოულისათვის საჭიროა ნიადაგის გამარეკლა, გაფხვიერება და მორწყვა. მრავლდება თესლითა და კალმით

თესვა წარმოებს სათბურებში მარტის თვეში 18-20°C-ის პირობებში. აღმოცენება იწყება დათესვიდან 6-10 დღეში. ჯგუთვა (პიკირება) ტარდება აღმოცენებიდან მე-14-17 დღეს. 2-2 სმ დაშორებით ღია გრუნტში (გაფორმებაში), მუდომ ადგილზე გადატანა ხდება აპრილის თვეში (2004). თბილისის პირობებში ამ მცენარის კალმით გამრავლება იშვიათად ხდება, რადგან თესლიდან მიღებული და სარგავი მასალა უფრო კარგ შედეგს იძლევა. სუფთა ჯიშების შესანარჩუნებლად სასურველია კალმით გამრავლება.

ციცინო მაღალდეკორატიული მცენარეა. თბილისის პირობებში კულტურირებულია ზაფხულისა და შემოდგომის მცენარის სახით და ითვლება ერთწლოვან მცენარედ.

ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მცვევილეობაში და გამწვანებაში. რაბატების, კლუმბების, არშიების, ყვავილნარების გასაფორმებლად.

ოჯახი ჯვაროსანნი Brassicaceae

გვარი ალისუმი Alyssum L.

ალისუმი Alyssum maritimum Lam.

საშობლო — სამხრეთ ევროპა. კავკასიაში იშვიათია (ჩრდ, დას. ნაწილი და სვანეთი). გვარი აერთიანებს 100-მდე სახეობას. უმრავლესობა წარმოშობით ხმელთაშუა ზღვის აუზიდანაა. ბუნებაში იზრდება ღია და მზიან განათებულ ადგილებში. მიეკუთვნება მრავალწლოვან მცენარეებს. ჩვენს პირობებში გამოიყენება როგორც ერთწლოვანი.

ალისუმი დაბალმზარდია, აღწევს 10-20სმ. ბუჩქი კომპაქტურია ან გაშლილი, ნახევრად სფეროსებრი ან გართხმული. ღეროები ძლიერ დატოტვილია. ფოთოლი ვიწრო, ღანცეტიცებური. საყვავილე ღერო სწორმდგომია, 10-15 სმ. ყვავილედი — მტევანი, დიამეტრი — 3-4 სმ. ყვავილები — წვრილი, ორსქესიანი, თუთრი ან იისფერი შეფერილობისაა. სურნელოვანია და მიეკუთვნება თაფლოვან მცენარეთა ჯგუფს. ყვავის ონისიდან გვიან შემოდგომამდე (25.06-28.10). ჯვარედინად

დამმტვერავე მცენარეა. ნაყოფი — ჭოტი. თესლები წვრილი, ოვალური ფორმისაა. თეთრი ალისუმის თესლს აქვს ყვითელი ფერის შეფერილობა, იისფერს კი — მონარინჯო ყავისფერი. თესლის შეგროვება ხდება აგვისტოში (25.07-30.10). თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3 წელი. კარგად იზრდება ღია, განათებულ და მზიან ადგილებზე. დაჩრდილულ ადგილებში გადაიზრდება სიმაღლეში და ყვავილობაც უქვეითდება. მოულა მდგომარეობს ნიადაგის გამარგვლასა და ზომიერ რწყვაში. ნიადაგის მიმართ არ არის მომთხოვნი. გვალვამძლეა. შემოდგომის ყინვები არ აზიანებს. მრავლდება თესლით და კალმით სწრაფად და ღიდი რაოდენობის სარგავი მასალის მისაღებად სასურველია კალმით გამრავლება, აგვისტოს თვეში წინასწარ მოშზადებულ ყუთებში ან კვლებში ხდება. აღმოცენებას იწყებს თესვიდან მე-5-10 დღეს. პირველი ნამდვილი ფოთოლის განვითარების შემდეგ საჭიროა ჩატარდეს ჯგუთვა 2-3 სმ დაშორებით თბილისის პირობებში იძლევა თვითნათესს, რომელთა ადვილად იტანს გადარგვას.

ალისუმი მაღალდეკორატიული მცენარეა. თბილისის პირობებში იგი შეტანილია უხვად და ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეების ჯგუფში. კარგად გამოიყურება კლუმბებში, რაბატებსა და არაბესკებში. ადვილად იტანს კრეჭას, და წარმატებით გამოიყენება გაფორმებაში ორნამენტული ხალიჩების და გეომეტრიული ხაზების შესაქმნელად.

ოჯახი შეწამალასებრნი Scrophulariaceae Juss.

გვარი დემისპირა Antirrhinum L.

ლომის ყბა (დემისპირა) Antirrhinum majus L.

სამშობლო — ხემელთაშუა ზღვისპირეთი, სადაც გავრცელებულია 40-მდე სახეობა. მრავალწლოვანი მცენარეა. თბილისის პირობებში კულტივირებულია ერთწლიანი მცენარის სახით ზამთრის თბილი ამინდების პირობებში იზამთრებს მეორე წელს. ყვავილობს უხვად. ლომის ყბა საშუალო სიმაღლის (25-60 სმ) მცენარეა. ცნობილია საბალო ფორმები: დაბალი და ჯუჯა, რომელთა სიმაღლე აღწევს 10-15 სმ. ბუნქი სწორმდგომია, დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითაა, ლანცეტიისებური ან მოგრძო ოვალური. ყვავილის ღერო სწორმდგომია. ყვავილედი — მტკვანი. მსხვილყვავილა ორტუნა თეთრი, ყვითელი, წითელი, კარდისფერი და სხვა. ჯამი შედგება 5 შეზრდილი ჯამის ფოთოლაკისაგან, მტკვიანა —

4. ნასკვისზედა. თესლი მწიფდება ზაფხულის ბოლოს (28.07-10.11). თესლის შეგროვება ხდება თანდათანობით ყვავის ზაფხულში (25.06), რაც გრძელდება გვიან შემოდგომამდე (10.11). ნაყოფი კოლოფია. თესლები შუი ან მუქი ნაცრისფერი, ყვისფერი, წვრილი, ვიწრო, კვერცხისებრი, მცენარე ჯვარედინად დამტვერაუია. ჯიშებს შორის დაშორება უნდა იყოს არა ნაკლებ 200 მ-ისა. თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3 წლის მანძილზე. გრამში 1500-2000 ცალი თესლია.

ლომის ყბა სინათლის მოყვარული მცენარეა და მოითხოვს ღია და კარგად განათებულ ადგილებს, მაგრამ ნახევარჩრდილშიც იზრდება. კარგად ვითარდება ნოყიერ ნიადაგებზე. საჭიროებს რეგულარულად მორწყვას. წყლის ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ყვავილის კონფიგურაციაზე და ბუჩქის კომპაქტურობაზე. მრავლდება თესლით და კალმით თესვა უმჯობესია თებერვალ-მარტში. აღმოცენებას იწყებს დათესვიდან ერთი კვირის შემდეგ. ჯგუთვა ტარდება აღმოცენებიდან 8-10 დღის შემდეგ 4-4 სმ დაშორებით. მუდმო ადგილზე გადარგვა ხდება აპრილის თვეში, 15-35 სმ-ის დაშორებით კალმით გამრავლებისას დასაკალმებლად სადედე მასალა შეაქეთ დახურულ გრუნტში 12-15°C-ის პირობებში. მოვლისათვის საჭიროა: ნიადაგის გაფხვიერება, მორწყვა და გამარგელა. დეკორატიულ მებაღეობაში ითვლება ერთ-ერთ წამყვან მცენარედ. კულტურაში ცნობილია 800-მდე ჯიშის სხვადასხვა ზომისა და ფერის. მცენარე, გამოირჩევა ლამაზი და ხანგრძლივი ყვავილობით. მოლის შემქმნელ და ხალიჩოვან მცენარეებს პარმონიულად ქსამება, განსაკუთრებით დაბალ და ჯუჯა ფორმებს. ფართოდ გამოიყენება გამწვანებასა და ყვავილოვანი კომპოზიციების შესაქმნელად. დეკორატიულ მებაღეობაში წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ მცენარეს.

ოჯახი ცოცხანასებრნი Verbenaceae Jaume
გვარი შპრბენა Verbena L.
შპრბერა ჰიბრიდული Verbena hybrida Hort.

საშობლო — არგენტინა და ბრაზილია. კულტურაში 40-მდე სახეობა გვხვდება. დეკორატიულ მებაღეობასა და მყვავილეობაში ფართოდ გამოიყენება ჰიბრიდული ვერბენა, რომელიც სიმაღლით 30 სმ აღწევს. ვერბენა მრავალწლოვანი მცენარეა, ხოლო ჩვენს პირობებში იგი გამოიყენება, როგორც ერთწლოვანი კულტურა. იგი გართხმული და მწოლიარე

მცენარეა. ყლორტები გართხმული, უხვად დატოტვილი და ძლიერ შებურულია. გართხმული ღეროები, ზოგჯერ ფოთლის ილლიებში, დამატებითი ფესვების სახით ვითარდება. ფესვთა სისტემა ფუნჯია. ფოთლები — ფრთად დანაკეთული ან მოპირისპირედა განლაგებული. ფოთლები და ყვავილედის ღერო დაფარულია ბქწვიით ყვავილობა იწყება ივნისის შუა რიცხვებიდან და გრძელდება იანვრამდე (15.06-20.12). ყვავილელი თუთაია. ყვავილები სხვადასხვა ფერისაა, საშუალო ზომის, 1.5-2.5 სმ დიამეტრის. სურნელოვანი. ყვავილელი შედგება 50 ყვავილისაგან. ჯამი მილისებრია, ხუთკბილიანი. ნასკვი — ზედა. ნაყოფი კაკალია. თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2-3 წელი. ერთი ბუჩქიდან 2 გრამამდე თესლი მიიღება. 1 გრამში 1000-1200 თესლია.

ვერბენა მოითხოვს ღია, კარგად განათებულ ადგილს. ვითარდება თიხნარ, სასუქიან ნიადაგზე. საჭიროებს ზომიერ რწყევას. ნოტიო ნიადაგი ან ხანგრძლივი წვიმები ვერბენას ვეგეტაციაზე უარყოფითად მოქმედებს. ნახევრად ჩრდილში სუსტად ყვავილობს. ყინვისა და სიშხრალისადმი მდგრადი მცენარეა. მრავლდება თესლითა და კალმით თესლი ითესება დახურულ გრუნტში, ადრე გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) წინასწარ მოშხადებულ ყუთში ან კვლებში. ნათესების ჯგუთვა ხდება 4-4 სმ-ის დაშორებით კალმით გამრავლებისას სადღეე მცენარეები შეაქვთ სათბურში, სადაც მათი გამრავლება ხდება იანვარ-მარტში.

ვერბენა გამწვანებაში ფართოდ გამოყენებული მაღალდეკორატიული მცენარეა. მისი ხანგრძლივი ყვავილობა განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა კლუმბებში, რაბატებში, არაბესკებში, მიქსბორდერებში და სხვ. განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება ცალკეულ ჯგუფებში. კულტურაში ცნობილია ვერბენას ჯუჯა ფორმები: სნეჟნაია კოროლცა, ეტნა, როზოვაია და სხვ.

ოჯახი იისებრთა Violaceae

გვარი ია Viola L.

სამშჳერი ია Viola tricolor L.

სამშობლო ვეროპაა. გვარი აერთიანებს 400-მდე სახეობას. მიეკუთვნება მრავალწლოვან ყვავილოვან მცენარეებს. ჩვენს პირობებში გამოიყენება, როგორც ორწლიანი. იგი დაბალმზარდი, კომპაქტური, 15-20 სმ სიმაღლის მცენარეა. მთავარი ყლორტი აწეულია, ქვედა ფოთოლი

ოვალური ან ლანცეტაა. ზედა-მომრგვალო — დაკბილული. ყვავილი ზიგომორფულია, თანაყვავილი 2-3 ან 5 სმ დიამეტრისაა. ახასიათებს სხვადასხვა შეფერილობა. ყვავის აპრილის თვეში (10.04) და ყვავილობა გრძელდება ივლისის ბოლო დეკადამდე (25.07). ჯამი შეადგენს 5 ჯამის ფოთოლაკს, რომელიც შედგება 2 ქვედა და 3 ზედა გვირგვინის ფურცლისაგან. მტერიანა — 5. ნასკვი ზედაა. ნაყოფი კოლოფია. თესლი კვერცხისებრია, მოყვითალო ყავისფერი ან მუქი ყავისფერი. თესლი მწიფდება ყვავილობის დაწყებიდან 3-4 კვირის შემდეგ, (25.05-30.07). კოლოფების დასკდომამდე მათი შენახვა დახურულ ჭურჭელში ხდება, რათა დასკდომის პერიოდში თესლი არ გაიფანტოს. ია მოითხოვს ღია, კარგად განათებულ და მზიან ადგილს. გვალვა და ყინვაგამძლეა. კარგად ვითარდება ფხვიერ და ნოყიერ ნიადაგებზე. ცუდად მოქმედებს ახალი ნაკელი. მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებასა და ღროვლ მორწყვაში. მრავლდება თესლით — გაზაფხულზე და შემოდგომით ბიოეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით მათი ყვავილობის ხანგრძლივობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეიძლება თესვის ვადების რეგულირებით თესვა წარმოებს ივლის-აგვისტოში წინასწარ მოშადებულ ყუთებში ან კვლებში. მომავალი წლის ადრე გაზაფხულზე იწყებენ ყვავილობას. თუ თესვა ჩატარდება გაზაფხულზე (აპრილი), ყვავილობას დაიწყებს იმავე წლის აგვისტოში. დარგვიდან ყვავილობამდე საჭიროა 50-70 დღე. აღმოცენდება თესვიდან მე-10-15 დღეს, ხოლო მოგვიანებით პირველი ნამდვილი ფოთლის განვითარება ხდება, რომლის ჯგუთვა 4-4 სმ-ის დაშორებით ჩატარდა. დარგვა მუდმივ ადგილზე 12-15 სმ-ის დაშორებით წარმოებს შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერში). თოვლი და ყინვა არ მოქმედებს.

სამფერი ია ჯვარედინად დამმტკვრავი მცენარეა. ჯიშების შენარჩუნებისათვის საჭიროა მათი დაშორება არა ნაკლებ 200 მ მანძილზე. სამფერი ია, ლეკორატიულ მებაღეობასა და მეყვავილეობაში, წარმოადგენს ერთ-ერთ ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მაღალდეკორატიულ მცენარეს და თბილისის პირობებისათვის ითვლება საუკეთესო გაზაფხულ-ზაფხულის მცენარედ და კულტივირებულია ორწლიანის სახით გამოიყენება ლანდშაფტურ და ორნამენტულ ყვავილნარებში, პარტერის, კლუმბის, რაბატის, არაბესკის და ბორდიურის გაფორმებისათვის.

ოჯახი ასტრიისებრნი (რთულყვავილოვანი) Asteraceae
გვარი ბულჰვიტიძა Calendula L.
ბულჰვიტიძა (კალენდულა) Calendula officinalis L.

სამშობლო სამხრეთ ევროპაა. გვარი მოიცავს 15 სახეობას, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სამკურნალო გულყვითელი. იგი დაბალმზარდი, 20-40 სმ-ის სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. თბილისის პირობებში გამოიყენება ერთწლოვანი კულტურის სახით ღერო დატოტვილია, საყვავილე ღერო 20-25 სმ-ია, სწორმდგომი, ყვავილედ — კალათა, მარტოი, ნახევრად ბუთხუზა და ბუთხუზა (საბალო ფორმები). ყვავილედის დიამეტრი 3-5 სმ-ია. ენისებრი ყვავილები ღია ყვითელია, კაშკაშა ნარინჯისფერი. მილისებრი ყვავილები ორსქესიანია, მტვრიანით გულყვითელას ყვავილობა იწყება გაზაფხულის მიწურულს და გრძელდება ზამთრის დაწყებამდე (30.05-15.11). ნაყოფი თესლურაა. გრამში 120-150 ცალი თესლია. თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3 წელი. თესლი მწიფდება გადაყვავილებიდან 25-30 დღის შემდეგ (15.05-25.11), თუმცა თესლის თანდათან შვეროვება ხდება მოგვიანებით.

გულყვითელი სინათლის მოყვარული მცენარეა. მოითხოვს ღია, კარგად განათებულ ადგილს, მაგრამ განვითარება შეუძლია ნახევრად ჩრდილშიც, ნიადაგისადმი არ არის მომთხოვნი. მოელისათვის საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება, გამარგვლა და მორწყვა. ყინვის და სიმშრალის მოყვარული მცენარეა. მრავლდება თესლით აღმოცენდება თესვიდან მე-8-10 დღეს. ჯგუთვა ტარდება 2-2 სმ-ის დაშორებით კარგად იტანს გადარგვას. იძლევა თვითნათესს. გაფორმებაში ირგვებოდა აპრილის თვეში. ჯვარედინად დამტკვრვისათვის მცენარეებს შორის სივრცობრივი იზოლაცია არანაკლებ 200 მ-ით განისაზღვრება. გამოიყენება კლუმბების, რაბატების, არაბესკების გაფორმებაში და გაზონზე ცალკეულ ჯგუფებად. გარდა დეკორატიული ღირსებისა, იგი გამოიყენება მედიცინაშიც.

ოჯახი მაჩიტასებრი Campanulaceae Juss.

გვარი ლობელია Lobelia ლობელია Lobelia erinus L.

სამშობლო სამხრეთ ევროპაა. გვარი აერთიანებს 400-მდე სახეობას. მრავალწლოვანი, დაბალი, კომპაქტური, 10-20 სმ-ის სიმაღლის მცენარეა. თბილისის პირობებში გამოიყენება, როგორც ერთწლოვანი კულტურა. ფოთლები წვრილი ლანცეტისებრია, კიდეები — დაკბილული, პატარა ზომის, 2 სმ სიგანის, არასწორი ფორმის, ორსქესიანი და ზიგომორფული. განლაგებულია ფოთლის უბებში. ყვავილი — ცისფერი, ლურჯი, იისფერი და თეთრია. ყვავის მაისიდან პირველ ყინვებამდე. ნასკვი ქვედაა. ნაყოფი კოლოფია, მრავალთესლოვანი. წვრილი მოყვავისფრო თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 3 წელი. გრაში 15000-19000 ცალი თესლია. ჯვარედინად დამმტვერაგია. ჯიშების შესანარჩუნებლად აუცილებელია სივრცობრივი იზოლაცია, მათ შორის მანძილი არა ნაკლებ 200 მეტრს უნდა შეადგენდეს.

კარგად იზრდება და ვითარდება ღია განათებულ ადგილებში, საბაღო, ფხვიერ, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე. საჭიროებს ზომიერ რწყვას. მრავლდება თესლით, რომელიც ითესება გაზაფხულზე (თებერვალ-მარტში). აღმოცენებას იწყებს თესვიდან მე-7-10 დღეს. ორანჟერიის პირობებში ითესება წინასწარ მოშადებულ ყუთებში 15-20°C ტემპერატურის პირობებში. ჯგუთვა ტარდება 1-2 ნამდვილი ფოთლის განვითარებისას. მანძილი მათ შორის 4-4 სმ-ის დაშორებით მუდმივ ადგილზე ირგება 10-12 სმ-ის დაშორებით სიციხეში და შხვზე ისინი მალე წყვეტენ ყვავილობას. დეკორატიულ მებაღეობაში და გამწვანებაში ლურჯი ფერი არც თუ ისე ხშირია, როგორც სხვა გაურცელელებული მცენარეებში, ამისათვის ლობელიისაგან შექმნილი კომპოზიციები ითვლება საკმაოდ ეფექტურად, განსაკუთრებით ბორდიურებისა და ხალების გაფორმებისათვის.

ოჯახი ძაღლყურძენასებრნი Solanaceae Juss.
გვარი პეტუნია Petunia H.
პეტუნია ჰიბრიდული Petunia hybrida Hort.

სამშობლო — სამხრეთ ამერიკა (არგენტინა, ბრაზილია). გვარი მიეკუთვნება მრავალწლოვან მცენარეთა ჯგუფს და აერთიანებს 14 სახეობას. თბილისის პირობებში იგი კულტივირებულია, როგორც ერთწლოვანი მცენარე. აღნაგობითა და მოცულობით დაბალმზარდი, სწორმდგომი ან გართხმული, 10-15 სმ სიმაღლის მცენარეა. ფოთოლი მჯდომარეა, მორიგეობით განლაგებული, მომრგვალო ოვალური ფორმის. ყვავილი — ერთმაგი, ბუთხუზა ან მარტოვი, რომელიც მოკლე ყუნწებით ფოთლის უბეჭბშია მოთავსებული. გვხვდება თეთრი, ვარდისფერი, წითელი ჭრული და სხვა შეფერილობით ჯამი შეზრდილია 5 ჯამის ფოთლით, მტვრიანა — 5, რომელიც ნახევრამდეა მილით შეზრდილი. ნასკვი ზედა და სწორია. ყვავის თესვიდან შესაძებ თვეს (25.05-10.06). ნაყოფი კოლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით.

ჰიბრიდული პეტუნია ღია და კარგად განათებულ ადგილს მოითხოვს. საბალო მიწა მდიდარი უნდა იყოს სასუქით მოვლისათვის საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება და გამარგლა. საჭიროებს ზომიერ მორწყვას. ბუთხუზა ფორმები კალმებით ითესება გაზაფხულზე (თებერვალი-მარტი) წინასწარ მომზადებულ ყუთებში, ხოლო სათბურში ითესება მარტის შუა რიცხვებში. გრამში 5000-8000 ცალი თესლია. აღმონაცენი მიიღება 12-16 დღეში. ჯგუთვას მოითხოვს ორჯერ პირველად — ყუთებში, მანძილი 2x2 სმ, მეორედ — კვლებში, 3-3 სმ-ს მოშორებით, 2-3 კვირის შემდეგ (პირველი ჯგუთვიდან).

ღია გრუნტში მუდმივ ადგილზე ირგება 15-25 სმ დაშორებით ვეგეტატიური გამრავლება (კალმების აჭრა სადღე მცენარიდან) ხდება ორანჟერეაში (მარტი-აპრილი) წინასწარ მომზადებულ ქვიშიან ყუთებში 12-15°C ტემპერატურის პირობებში. თანამედროვე პრაქტიკაში გამოიყენება პეტუნიას საბალო ფორმების 2 ჯგუფი: 1. მარტოვი — ტალღისებრი ფორიანი, 2. ბუთხუზა — წვრილყვავილა და მსხვილყვავილა ჯგუფი. პეტუნია საკმაოდ დეკორატიული მცენარეა, რომელიც ფართოდ გამოიყენება (უხვი და ზანგრძლოვი ყვავილობა) კლუმბებში, რაბატებში, არაბესკებში, გაზონებსა და პარტერებში ცალკეული ჯგუფების შესაქმნელად. ამჟღელური ფორმები გამოიყენება ფანჯრებისა და აივნების გასაღამაზებლად.

ოჯახი ასტრასებრთა (რთულყვავილოვანი) **Astraceae**
 გვარი ხაჰმრდულა **Tagetes L.**
 ხაჰმრდულა დაბალი **Tagetes patula L.**

სამშობლო მექსიკაა. აღნიშნული გვარი 20 სახეობას აერთიანებს. დეკორატიულ მებაღეობაში ფართოდ გამოიყენება სამი სახეობა: სწორმდგომი, გამლელი და დანაკეთული. ხაჰმრდულა ერთწლოვან ყვავილოვან მცენარეებს ეკუთვნის. იგი სწორმდგომი, კომპაქტური ან გამლელი ყვავილოვანი მცენარეა. მასში გამოსახულია მთავარი ყლორტი ან ერთნაირად განვითარებული პირველი რიგის საყვავილე ყლორტები. ფოთოლი მარტივია, ღრმად დანაკეთული. ყვავილედი კალათაა. ყვავილი მილისებრი და ენისებრია. მილისებრი ყვავილი ორსქესიანია, შედგება ხუთი გვირგვინის ფურცლისაგან, ხუთი მტვრიანისაგან; ენისებრი ყვავილები მდედრობითია, არასწორი, ცალმხროვ წაგრძელებული. ხაჰმრდულა ჯვარედინად დამტვერავი მცენარეა და მოითხოვს სოფრცობრივად — 200 მეტრით დაშორებას. ყვავილობს ოქტომბრიდან (10.06-20.11) პირველ ყინვებამდე. სურნელოვანია. ნაყოფი თესლურაა. მცენარეს ახასიათებს ძლიერი დატოტიანებული ფესვთა სისტემა.

ხაჰმრდულა სითბოსა და სინათლის მოყვარული მცენარეა. მისთვის საუკეთესოა მზიანი ადგილი, თუმცა ნახევრად დაჩრდილულ პირობებშიც ვითარდება. ოროფე შემთხვევაში ნიადაგი მუდმივად უნდა იყოს ნოტიო, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში. წყლის ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ყვავილის ბუთხუზიანობაზე და მცენარის კომპაქტურობაზე. ჩითილი გადარგვას კარგად იტანს. შემოდგომით ყინვებს ვერ უძლებს. მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებაში, გამარგვლასა და მორწყვაში. მრავლდება თესლით. იგი ითესება გაზაფხულზე, მარტის თვეში სათბურში ან კვალსათბურში. აღმოცენდება თესვიდან 6-8 დღის შემდეგ. ჯგუთვა ტარდება 1-2 ნამდვილი ფოთლის განვითარების შემდეგ (4-5 დღის) 5-5 სმ დაშორებით. საბალო ნიადაგში ნათესარები (ჩითილი) ირგება აპრილის თვეში, ასევე — გაფორმებაში, 20-30 სმ-ის დაშორებით. ხაჰმრდულა ფართოდ გამოიყენება ყვავილნარების გაფორმებაში, სადაც უხვად და ხანგრძლივად ყვავილობს კამკაშა ყვითელი, ნარინჯისფერი, ჭრული ყვავილებით. ირგება ჯგუფებად მოლზე და გასამწვანებელ მოედნებზე. გამოიყენება აგრეთვე ბორდიურებად ყვავილნარებში.

ოჯახი ჯიჯილაყასებრთა Amaranthaceae.
გვარი ცელოზნია Celosia L.
საპარცხლისმბარი ცელოზნია (მამლის ბიბილო)
Celosia cristata L.

სამშობლო აღმოსავლეთ ინდოეთია. საშუალო სიმაღლის — 25-35 სმ მცენარეა. ფოთლები კვერცხისებრია, მსხვილი, წაგრძელებული, წვერში წაწვეტებული და მორიგეობით განლაგებული. ახასიათებს მწვანე, ჭრელი ან მუქი მქნამული შეფერილობა. ყვავილები ორსქესიანია, მსხვილი ყვავილედით, რომელიც შეზრდილია ღეროზე. ყვავილობს ყინვების დაწყებამდე, თესვიდან 3 თვის შემდეგ (15.06-17.11). ყვავილედში ყვავილი იშლება ნელა — ქვემოდან. ნასკვი ზედაა. პირამიდალური ცელოზნიას ღერო აქვს სწორი და ყვავილი ღეროსთან არ არის შეზრდილი. ყვავილეთი საგველაა. სიმშრალისადმი გამძლე მცენარეა. მასზე უარყოფითად მოქმედებს შემოდგომის ყინვები. კარგად ვითარდება საკვები ნივთიერებებით მდიდარ ფხვიერ საბალო ნიადაგებზე. მოვლისათვის საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება, გამარგვლა და ზომიერი მორწყვა. მრავლდება თესლით, გაზაფხულზე (15.03). აღმოცენდება თესვიდან მე-12-14 დღეს, 15-18°C ტემპერატურის პირობებში. თესვისათვის ნიადაგის შემადგენლობა უნდა იყოს: 2 წილი კორდი, 1 წილი გადამწვარი ნაკელი და 1 წილი მდინარის ქვიშა. აღმონაცენის ჯგუთვა 5-5 სმ მანძილით ტარდება 1-2 ნამდვილი ფოთლის განვითარებისას. მუდმივ ადგილზე (გაფორმებაში) ირგება აპრილის თვეში, 18-25 სმ-ის დაშორებით. თესლის მომწიფება იწყება ყვავილობიდან 30 დღის შემდეგ. თესლი მწიფდება თანდათან და შეროვებაც ასევე თანამიმდევრობითაა. 1 ვრ-ში 700-800 თესლია. თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 5 წელს. დეკორატიულ მყვავილეობაში გამოიყენება კლუმბებში, რაბატებსა და გაზონებში ცალკეული ჯგუფების შესაქმნელად.

გვარი გომფრენა Gomphrena L.
თაჭვითილა (გომფრენა) Gomphrena globosa L.

სამშობლო აღმოსავლეთ ინდოეთია. ერთწლიანი მცენარეა, სიმაღლით 20-30 სმ. ფოთლები წაგრძელებულ-ელიფსისებრი, პრიალა, შე-

ბუსულია, ყვავილები შეკრულია სფეროსებრ თავაკებად, ყვავილელი თავაკია. ღიაძებრი — 1-2 სმ. ყვავილელი — წითელი, ვარდისფერი, თეთრი და ლილისფერ-ისფერი შეფერილობით ყვავილობს ოქლისიდან პირველ ყინებამდე (5.07-20.10). თესლის შეგროვება ხდება ბოლოს (25.11). მოითხოვს ღია, კარგად განათებულ ადგილს. სითბოს მოყვარული მცენარეა. საჭიროებს ზომიერ რწყვას, ფხვიერ საბალო ნიადაგს მდიდარს ორგანული ნივთიერებებით მოვლა მდგომარეობს ნიადაგის გაფხვიერებასა და გამარგვლაში. სიმშრალის მოყვარული მცენარეა. მრავლდება თესლით, რომელიც აღმოცენდება 6-8 დღეში, ჯგუთვა (პიკირება) წარმოებს, პირველი ნამდვილი ფოთლის განვითარების ფაზაში 4-4 სმ-ის დაშორებით გაფორმების მუდმივ ადგილზე ირგვება აპრილ-მაისში. დეკორატიულ მყვავილეობაში ცნობილია თავწითელას ჯუჯა, 15 სმ სიმაღლის, მეწამულ-ისფერი შეფერილობის ფორმები. ლანდშაფტურ გამწვანებაში ფართოდ გამოიყენება კლუმბების, რაბატების, არაბესკების, ბორდიურებისა და აოენების გასამწვანებლად. მოჭრილი ყვავილები კარგია ზამთრის თაიგულების შესაქმნელად, ვინაიდან გამხმარი თავწითელა დიდხანს ინარჩუნებს თავის შეფერილობას.

ოჯახი დანდურისებრნი *Portulacaceae*

გვარი დანდური *Portulaca* L.

დანდური მსხვილყვავილა *Portulaca grandiflora* Hook.

სასუქები და მათი გამოყენება. დეკორატიულ დაბალბალახოვან ადგილობროვ და ინტროდუცირებულ მცენარეებში უხვადაა ლამაზად და ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეები, რომლებიც ვითარდებიან საკვები ნივთიერებით მდიდარ ნიადაგზე. მცენარის ზრდა-განვითარება, მისი უხვი და ხანგრძლივი ყვავილობა, ძირითადად, ნიადაგში არსებული ორგანული და მინერალური ნივთიერების ზარჯზე ხდება. საბალო მიწა გარკვეული დროის შემდეგ ორგანული და მინერალური ნივთიერების ნაკლებობას განიცდის, ამიტომ ნიადაგში მცენარის არსებობისათვის კვების არე მცირდება და იფიტება. ჩვეულებრივად, საკვები ელემენტებით ნიადაგის გამოკვება იმ სახით და რაოდენობით წარმოებს, რაც მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვისაა საჭირო.

სასუქი დაბალბალახოვან მცენარეზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. უპირველესად საჭიროა მცენარის ბიოლოგიური და ეკოლოგიური თვისებების ღრმა ცოდნა და მცენარეების სასიცოცხლო პირობებთან კავშირში მყოფი აგროტექნიკური ღონისძიებების დადგენა. ამის მიხედვით განისაზღვრება ნიადაგის სტრუქტურული შემადგენლობა, სინოტივე და მჟავიანობა, ასევე გასარკვევია სასუქში არსებული ნაერთების შემადგენლობა და მათი ზემოქმედება, სასუქის შეტანის დრო და ვადები, ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობები და სხვ. ამიტომ ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებები დადებითად მოქმედებს მცენარის ფორმირებაზე, განვითარებაზე, ფოთლისა და ყვავილის შეფერილობაზე, მოცულობისა და ადნაგობის ნორმალურ ჩამოყალიბებაზე, მთლიანად მცენარის ჰაბიტუსზე. ასევე მნიშვნელოვნად ჩქარდება მცენარის ზრდა-განვითარების რიტმი და საგრძნობლად უმჯობესდება მისი მხატვრული იერი. დაბალბალახოვანი ინტროდუცირებული მცენარეებისათვის გამწვანებაში გამოყენებულია სასუქის 3 სახეობა: მინერალური, ორგანული და კომბინირებული. ორგანული სასუქი შედგება საკვები ნივთიერებებისაგან და დადებითად მოქმედებს მცენარეებზე, ხოლო მინერალური სასუქი ერთგვაროვანია. მასში უმეტესად ერთი კომპონენტია და ერთი საკვები ნივთიერება შედის. დეკორატიულ მყვავილეობაში კომბინირებული სასუქის სახით ფართოდ გამოიყენება ორგანულ-მინერალური ნაერთი, რომელიც განსაკუთრებული აგროტექნიკური ღონისძიების დროს მოიხმარება. ის აუმჯობესებს

ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებას და მიკროორგანიზმების ცხოველ-
მოქმედებას, ნიადაგში ფიზიკური სტრუქტურის ფორმირებას და ნო-
თიერებათა ცვლის შემადგენელი ნაერთის მოქმედებას. ორგანულ სასუქს
ეკუთვნის ნაკელი, წუნწუხი (ნაკელწყალი), ტორფი, კომპოსტი და სხვა,
მათ შორის საკვები ნოთიერებით მდიდარი, საუკეთესო და ძლიერ მოქ-
მედი სასუქია ნაკელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი გადამწვარია. ნი-
ადაგში მისი შეტანა არა მარტო ამდიდრებს მას აზოტით, ფოსფორით,
კალიუმით, კალციუმით, არამედ აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ-მექა-
ნიკურ თვისებებს, ქიმიურ-ბიოქიმიურ შემადგენლობასა და მიკრობიო-
ლოგიურ გარემოს.

დაბალბალახოვანი და ინტროდუცირებულ მცენარეებზე დადებითად
მოქმედებს მინერალური სასუქები, როგორებიცაა: ამონიუმის გვარ-
ჯილა, გოგირდმჟავა ამონიუმი, სუპერფოსფატი, კალიუმის ქლორიანი
მარილი, რომლებიც ნიადაგში თხევადი ან ფხვნილის სახით შეაქვთ.
ამონიუმის გვარჯილა აზოტოვანი სასუქებს შორის ძლიერმოქმედი ნა-
ერთია, იგი ინტროდუცირებული მცენარეების ვეგეტაციის დაწყებისა და
ყვავილობის წინ შეაქვთ ის აძლიერებს და აჩქარებს მცენარის ზრდა-
განვითარებას, განსაკუთრებით ეს იგრძნობა ღეროს განვითარებაზე, მის
შეფოთვლასა და შეფერილობაზე. გოგირდმჟავა ამონიუმი 20% აზოტს
შეიცავს. ნიადაგში შესაძლებელია თხევადი და მშრალი სახით შეტანა.
მშრალი სასუქის შეტანა მიზანშეწონილია წვიმის შემდეგ ან წინასწარ
მორწყულ ნიადაგში. სასუქის შეტანის შემდგომ ნიადაგი კვლავ ირწყ-
ვება. ფოსფორის სასუქი ხელს უწყობს მცენარის ნორმალურ ზრდა-
განვითარებას, აძლიერებს და ამაგრებს ფესვთა სისტემას, აჩქარებს
და ახანგრძლივებს ინტროდუცირებული მცენარეების ყვავილობას და
ხელს უწყობს საყვავილე ყლორტების წარმოქმნა-ჩამოყალიბებას. და-
ბალბალახოვანი მცენარე ფოსფორს ვეგეტაციის მთელ მანძილზე საჭი-
როებს. კალიუმის სასუქები და მათი ნაირსახეობა აუცილებელია და-
ბალ მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის. ამით მცენარეს საშუალება
ეძლევა, გამოიმუშაოს ყინვაგამძლეობისა და გვალვაგამძლეობის უნარი.
შემჩნეულია: ინტროდუცირებული მცენარეები რომ უხვი და ხანგრძ-
ლივი ყვავილობით გამოირჩეოდეს, საჭიროა კვების არეში გარკვეული
რაოდენობის კალიუმის მარილების შეტანა. ქლორიანი-კალიუმიანი მა-
რილი ერთ-ერთი დამახასიათებელი სასუქთაგანია. ნიადაგში მისი შეტა-

ნა მცენარის ჰაბიტუსს უფრო ახალგაზრდულს, უფრო დეკორატიულს ხდის. დადებითად მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე. ნიადაგში მისი შეტანის დრო სხვადასხვაა: მძიმე ნიადაგებისათვის — შემოდგომის დასაწყისი, მსუბუქებისათვის — გაზაფხული.

მიკროელემენტები. საბალო მიწის შემადგენლობაში გარკვეული რაოდენობის მიკროელემენტებია: ბორი, მანგანუმი, ალუმინი, სპილენძი და სხვ. ამ ელემენტების ნიადაგში შეტანა დროდადრო ხდება. მაგალითად, მანგანუმის ნაკლებობა მცენარეში იწვევს ფოთლის სიყვითლეს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნიადაგში მანგანუმის ნახშირმჟავა მარილების შეტანა.

დაბალბალახოვანი ადგილობრივი და ინტროდუცირებული მცენარეების გამრავლება. დეკორატიულ მებაღეობაში აგროტექნიკური ღონისძიებების მნიშვნელოვანი საკითხია მცენარეთა გამრავლება. დაბალბალახოვანი მცენარეების გამრავლება შეიძლება თესლით და ვეგეტატიურად. მცენარეთა თესლით გამრავლება მიეკუთვნება სქესობრივი გამრავლების სახეს, ხოლო ვეგეტატიური გამრავლების შემთხვევაში ძირითადი პროცესი სრულდება მცენარის ვეგეტატიური ორგანოებით: კალამი, ამონაყარი, ტუბერი, ფესურა, ტუბერ-ფესურა, ბოლქვი, და ბუნებრივი ან ხელოვნური გზით — მცენარის დაყოფით, მყნობით და სხვ.

ვეგეტატიური გამრავლება. დაბალბალახოვანი ადგილობრივი და ინტროდუცირებული მცენარეები მრავლდება ვეგეტატიური გზით მათ შორის, კალმით გამრავლება შედარებით ფართოდაა დანერგილი. დაბალბალახოვან მცენარეებში დეკორატიულობის თვალსაზრისით საინტერესო მორფოლოგიური ნიშნები ახასიათებთ ვეგეტატიურ ორგანოებს. მათი მხატვრული ღირსება ლამაზ შეფერილობასა და აღნაგობაზეა დაყრდნობილი, რაც ნათლადაა გამოხატული მცენარის ფოთლითა და ღეროთი. ამ ორი დეკორატიული კომპონენტის მორფოლოგიურ-ანატომიური აგებულება და მაღალმხატვრული იერი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა პირობებში წარმოიშვენ და ჩამოყალიბდნენ არსებული მცენარეები. ფოთლითა და კალმით მიღებული მცენარე ღიდხანს ინარჩუნებს დეკორატიულობას. მყვევილეობაში შედარებით ფართოდ კალმით გამრავლება გამოიყენება. კალმის აჭრა სადედე მცენარეებიდან ხდება. ეკოგიტაშვილმა (2002) ქრიზანთემის კულტურის მაგალითზე მიიღო მცენარეთა გამრავლების ახალი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს

ქრიზანთუმის დაკალმებას უშუალოდ მიწის ნახევში ან ღია გრუნტში და ეს მეთოდი უფრო პროგრესული აღმოჩნდა, ვიდრე ბუჩქის დაყოფა.

ჩვენს პირობებში სიცოცხლის მიმართ მგრძობიარე ზოგიერთ სადედე მცენარეს შემოდგომის პირველი ყინვების დადგომისთანავე ორანჟერეებში ვათავსებთ, ხოლო ზოგიერთ ველურ — ადგილობრივ სახეობას გაფორმებაში ვტოვებთ კულტურულ ხალიჩოვნებს: ალტერნანთურას, ირუზინეს, ახირანთუსს და სხვ. ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბერში საბალო მიწით საესე ყუთებში ვათავსებთ და ვდგამთ განათებულ ორანჟერეაში, სადაც $+14-16^{\circ}\text{C}$ -ია. სხვა ხალიჩოვნები, როგორებიცაა: ირუზინე, ახერანთუსი შედარებით დაბალ ($10-12^{\circ}\text{C}$) ტემპერატურას უძლებენ. ქსეროფიტი მცენარეები (კლდის დუმა, ქვეყრია, მეზემბრიანთუმში, კლდის ვაშლა), განათებული ადგილის გარდა, საჭიროებენ მშრალ კუთხეს. მორწყვის დროს წყლისა და ოთახის ტემპერატურა სასურველია, ერთმანეთს ემთხვეოდეს. ხანგრძლივად მოყვავილე ხალიჩოვანი მცენარეები, როგორებიცაა: ნემსიწვერა, ფუქსია და სხვა ირწყვება ზომიერად, ვიდრე მიწას ოდნავ ტენი გაუჯდება. გნაფლიუმი (ბერულა), მეზემბრიანთუმში და სხვა მცენარეები ტენის შესანარჩუნებლად ქოთნით მიწაში იდგმება.

დაბალბალახოვანი მცენარეებში კალამი წარმოადგენს სადედე მცენარის ღეროს, ფესვისა და ფოთლის აჭრილ ვეგეტატიურ ნაწილს, რომელიც ხელსაყრელ პირობებში ახალ ფესვებს ოფითარებს და დამოუკიდებელი მცენარის სახით ყალიბდება. კალამი შეიძლება იყოს სამი სახის: ღეროს, ფოთლისა და ფესვის. აჭრილ კალამს 2-3 კვირტი აქვს. ზომა დამოკიდებულია მუხლთშორისების სიდიდეზე და მათ დაშორებაზე. საშუალო ზომის კალამი დაახლოებით 3-8 სმ აღწევს. იგი ზომიერად განვითარებული და ჯანმრთელი მცენარიდან იჭრება.

სადედე მცენარის ღეროდან მიღებული კალამი ღეროს ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში არ მონაწილეობს. ამ შემთხვევაში კალამი მცენარეს საკვებს აწვდის ფესვის ჩასახვისა და განვითარებისათვის. ფესვიდან აჭრილი კალამი საკვებ ნივთიერებებს ფესვის განვითარებას, კვირტების, ღეროს და ფოთლის ჩამოყალიბებას ახმარს. ფოთლის კალამი გარკვეული დროის მერე ფესვს და ღეროს ოფითარებს. ცნობილია, რომ სადედე მცენარეების ზედა და კენწერული ნაწილები ვეგეტაციურად ჩამოყალიბებული და მომწიფებულია. ასეთი კალამი ხელს უწყობს მცენარის

ნაადრევ ყვავილობას. სადღე მცენარის ქვედა ორგანოებში ვეგეტაციის პერიოდი დაგვიანებულია და განვითარება ჭიანურდება. ასეთი კალამი შედარებით მობერებულია და დასაკალმებლადაც ხანგრძლივ დროს საჭიროებს.

კალმის აჭრა და დაკალმება ადრე გაზაფხულზე (თებერვალი) წარმოებს. ფართოფოთლოვან ხალიჩოვნებს (ახირანთუსი, ირუზინე) და ლამაზად მოყვავილე მცენარეებს (ნემსიწვერა, ბგონია, პეტუნია) კალამი ქვედა ფოთლებიდან უნდა შეეჭრას. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის აორთქლებას. ქსეროფიტი ხალიჩოვნები (ხორცოვანფოთლებიანი) ხასიათდებიან წყლის ჭარბი მარაგით ასეთი მცენარეები განსაკუთრებულ დაკალმებას მოითხოვენ. ფოთლის კალამი ხანმოკლე დროით მზებზე იდგმება, რომ არ დაღპეს. ფართოღეროიანი კალმები მოითხოვს ფუძის დამატებით დანაწევრებას (ჯვარედინად). შედარებით ძნელდება როზეტიანი მცენარეების (ქვევრია, კლდის ვაშლა და სხვ.) დაკალმება. იმ მცენარეების, რომლებიც ბარტყებს არ იძლევიან, დაკალმებული მასალა სიბნელეში თავსდება, ხოლო სინათლის მოყვარული მცენარეები სიბნელეში ღეროს დაგრძელებას და სიგრძეში მატებას იწყებენ. ამ ეკოლოგიური ფაქტორის გამოყენებით ქვევრიას დაგრძელებული ღერო ადვილად დასაყოფი და გასამრავლებელი ხდება.

დაკალმება ორანჟერეისა და კვლსათბურების პირობებში ხდება, მოგვიანებით კი შეიძლება ჩატარდეს ღია ცის ქვეშაც. დაკალმებისათვის კარგად გარეცხილი მსხვილმარცვლა ქვიშა გამოიყენება. რაც შეეხება ხალიჩოვან მცენარეებს, შეიძლება ჩვეულებრივ, სუფთა ქვიშაში დაუკალმოთ, რომელიც ორგანული ნივთიერებითა და მიკროორგანიზმებითაა მდიდარი. ასეთი შედგენილობის სილა ჰაერს და წყალს ადვილად ატარებს. დაკალმება 6-8 სმ სიგრძეზე ხდება. კალმები ახლო-ახლო და სქლად თავსდება. მორწყვა და შესხურება ხშირად უნდა, ხოლო დაფესვიანების შემდეგ — ზომიერად. ზაფხულში აჭრილი კალამი სექტემბერში ფესვიანდება, მაგრამ ასეთ კალამს ზრდა-განვითარება დასრულებული არა აქვს. ამიტომ ნიადაგში გადარგვას ვაწარმოებთ და შემოდგომის პირველ ყინვებამდე ორანჟერეაში არ შევავქვს.

სამხრეთის ქალაქებში, კერძოდ ქ.თბილისში, დაბალბალახოვანი და ლამაზად მოყვავილე მცენარეების დაკალმება შესაძლებელია ღია ცის ქვეშ. საუკეთესო დროდ ადრე გაზაფხულია მიჩნეული. თბილი ამინდის

დადგომისთანავე ხალიჩოვანი მცენარეები (ალტერნანთურა, ირუზინე, ახერანთუსი) გამოგვაქვს ორანჟერიიდან და სათბურში ვაკალმებთ ნი-ადაგი უნდა იყოს ქვიშისა და მსუბუქი საბალო მიწის ნაზავი. სათბურს ჩარჩოს ვაფარებთ, რომელიც დაკალმების დროს კვირაში 2-3-ჯერ იხს-ნება, ხოლო შემდეგ ღია მდგომარეობაში ვტოვებთ კალმები მორწყვასა და წყლით მოპკურებას მუდმივად საჭიროებენ.

დაკალმების დასაჩქარებლად ჰაერგამტარ სიბრტყეზე (ბადე, ქსოვი-ლი, ჩარჩო) 3 სმ სისქის ხაესის ფენას საბალო მიწა (ქვიშა და ნემომპალა) და კვლავ მსხვილმარცვლა ქვიშა უნდა დაეყაროს და მჭიდროდ დაიტ-კუნოს. ორანჟერიის თბილი ჰაერი ხაესის ფენას ათბობს. სითბო ქვიშას გადაეცემა და კალმის დაფესვიანებას განაპირობებს. ზოგჯერ დაკალმე-ბა ორანჟერიის თაროზე, სტელაჟზე და ყუთში ხდება. ასეთ პირობებში აერაცია ნაკლებია და დაკალმებაც იგვიანებს. ზოგჯერ დაბალბალა-ხოვანი ხალიჩოვანი მცენარეების (ალტერნანთურა, ირუზინე) დაკალმება ნახერხშიც ხდება. ასეთ პირობებში ტემპერატურა არ მერყეობს, არის კარგი აერაცია ტენის შენარჩუნებით და ხდება სწრაფი დაფესვიანება. კალმის მოვლა მუდმივ შესხურებასა და მორწყვას მოითხოვს. დადგენი-ლია, რომ დღის განმავლობაში შესხურება 3-5-ჯერ უნდა მოხდეს. მინით ან ხუფით დაფარებულ მცენარეებს განიავება სჭირდებათ (დილით და საღამოს). ქსეროფიტი მცენარეები საფარს არ საჭიროებენ. ზოგიერთი დაბალბალახოვანი მცენარე ფოთლიდან აღებული კალმით მრავლდე-ბა. ასეთი მცენარეებია: ბეონია, კოლეუსი და სხვ. ფოთლები ქვევიდან მჭრელი დანით ისერება და ქვიშაში თავსდება. ფოთლის დაფესვიანება დასერილ ადგილებში წარმოებს. დაფესვიანებული ნაწილები იყოფა და ცალ-ცალკე ირგვება.

დაბალბალახოვანი მცენარეების უმრავლესობა მრავალწლიანია, მა-გრამ ჩვენს ბუნებრივ პირობებში ერთწლიან მცენარეთა ვჯგუფშია თავ-მოყრილი. შემოდგომაზე, მაგალითად, ალტერნანთურა და სქელბუჩქა მცენარეები ორანჟერიაში ინახება. ასეთი მცენარეები ადრე გაზაფხულზე ბუჩქის დაყოფით ადვილად მრავლდებიან. ასევე ადრე გაზაფხულზე და-კალმებული მცენარე დაფესვიანებული სახით ვარგისია ღია ცის ქვეშ გაფორმებულ ნაკვეთში დასარგავად. გაზაფხულის პირზე დაკალმებული ალტერნანთურა ადვილად იყოფა რამოდენიმე დამოუკიდებელ ღეროდ.

ველურ დაბალბალახოვან მცენარეებს საინტერესო და მეტად თავისე-

ბური გამრავლება ახასიათებთ კალმით გამრავლებას ზოგიერთი მცენარე ორანჟერეაში მოითხოვს, ზოგი კი — უშუალოდ ცის ქვეშ. თესლით ან კალმით გამრავლება წელიწადის სხვადასხვა დროს ხდება. მაგალითად, კლდის ვაშლა და კლდის დუმა გაზაფხულზე ან შემოდგომაზე თესლით მრავლდება, ხოლო კალმით — წელიწადის ყველა დროს. ზოგიერთი სპეციალისტი კლდის დუმას ვეგეტატიურ მასას მაკრატლით ყოფს და მიწის ზედაპირზე ფანტავს. ხდება უხვად მორწყვა. ასეთი თავისებური სახით დანაწევრებული ვეგეტატიური მასა 10 დღეში ფესვიანდება და ახალ კოლონიებს ქმნის. ფოთლის პატარა კალამი მინის ან ხუფის ქვეშ 5-7 დღეში ფესვიანდება. ეს მოვლენა ფოთლის ძირში მძინარა კვირტების არსებობით აიხსნება, რომლებიც ნიადაგში დაფესვიანების შედეგად ვითარდებიან. გადატეხილი ფოთოლი არ ფესვიანდება.

გასაფორმებელ ნაკვეთში ან ყვავილნარში ველური დაბალბალახოვანი და ინტროდუცირებული მცენარეები კალმით ან დაყოფით მრავლდება. ეს პროცესი სხვადასხვა დროს ხდება: თესლით (გაზაფხული), კალმით (წელიწადის ყველა დროს) და ვეგეტატიური ნაწილებით (გაზაფხულ-შემოდგომაზე). მისი დაყოფა ადვილად ხდება, ცალკე ნაწილებად დაყოფილი ორგანოები ფესვიანდება 4-6 დღეში. მოჭრილი ნიადაგის ზედაპირზე მოფანტული მასა 8-10 დღეში ფესვიანდება. ველურ მცენარეებს გამრავლების ბიოლოგიური თვისებები სხვადასხვანაირი აქვთ მაგალითად, პირთეთრა მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. თესვა ადრე გაზაფხულზე (მარტი) ხდება, ხოლო აღმონაცენი 15-20 დღეში მიიღება. კალმით მრავლდება გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) ან შემოდგომაზე — გრილი ამინდების დადგომისას. დაკალმება შეიძლება ჩატარდეს სპეციალურ ყუთებში, კუცებში ან ცის ქვეშ. მაგალითად, გასაფორმებელ ნაკვეთში და ყვავილნარში პირთეთრას დაკალმება 9-12 დღის შემდეგ ხდება. თბილისის მიდამოებში მზარდი ბეჭონდარა პერსპექტიული დაბალბალახოვანი მცენარეა, მისი გამრავლება ვეგეტატიურად — დაყოფითა და კალმით ხდება. გაზაფხულზე აჭრილი კალამი 6-7 დღეში ფესვიანდება.

თესლით გამრავლება. დაბალბალახოვანი და ინტროდუცირებული დეკორატიული მცენარეების უმრავლესობა თესლით მრავლდება, განსაკუთრებით კი — ერთწლიანი ლამაზად მოყვავილე გაზაფხულისა და ზაფხულის ყვავილები, რომლებიც სავეგეტაციო პერიოდს (თესლიდან ნაყოფმსხმოიარობამდე) ერთ წელიწადში ასრულებენ.

თესვისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი თესლის შეგროვება ჯანმრთელი მცენარიდან წარმოებს. ასეთ მცენარეებს სახეობისა და ჯიშის მაღალი სიწმინდე და უხვი ყვავილობა ახასიათებთ. სასურველია, თესლი პირველად გაშლილი ყვავილებიდან ავიღოთ თესლის თესვა მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებსა და ყვავილობის დონეზეა დამოკიდებული.

(Морозова Г. 1957) მიხედვით უცხო ბუნებრივი პირობებიდან უკვე ინტროდუცირებული მცენარეების ადგილობრივი ჰაეის პირობებთან შეგუების მიზნით თვითნათესით მიღებული და გამრავლებული ინდოიდი მცენარის ეკოლოგიური თვისებების და ბიოლოგიური ხასიათის დასადგენად საინტერესო ექსპერიმენტს წარმოადგენს, ვინაიდან თვითნათესი (Ковалевская, 1968), როგორც გამრავლების ერთ-ერთი სახე, ამცირებს ჩითილების გამოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ამ მეთოდით გამოყვანილი მცენარეები გარემო ფაქტორების მიმართ მეტი გამძლეობით გამოირჩევიან. ადრე გაზაფხულისა და ზაფხულის მოყვავილე მცენარეების თესვა შეიძლება ცის ქვეშ უშუალოდ ნიადაგში, ასევე კვალსათბურებში, ყუთში, ორანჟერეაში, კეცში, კვლებსა და სხვ. ჩვენს პირობებში, სადაც გაზაფხულის თბილი დღეები ადრე დგება, თესვა შეიძლება უშუალოდ ნიადაგში ვწარმოოთ ასეთ პირობებში დათესილი მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი კარგად უნდა შევისწავლოთ: განსაკუთრებით, მცენარის დამოკიდებულება გარემო პირობებთან, აღმოცენების უნარი, ზრდისა და განვითარების ცვალებადობა, ნიადაგის ზეგავლენა, ტემპერატურა, სინოტივე, გამძლეობა გვალვისა და ყინვის მიმართ, გადარგვის შესაძლებლობა და ა.შ. ზოგჯერ თესვა ორანჟერეასა და კვალსათბურში წარმოებს, ხოლო მოგვიანებით, განვითარებული ჩითილი გამწვანებაში გადაიტანება.

ღია ცის ქვეშ ჩათესილი დაბალბალახოვანი მცენარისათვის თჩერქეზიშვილის (1976) მიხედვით შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს მსუბუქი, ნოყიერი და წყალგამტარი ნიადაგი. მძიმე ნიადაგის დროს ის გვთავაზობს ტორფისა და ქვიშის ნარჯის შეტანას. აღმონაცენების ან თესლის გაღივების და მისი ამოხმობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნორჩი ნაზარდის რვეულარული მორწყვა.

მრავალი ინტროდუცირებული მცენარე გადარგვას სხვადასხვანაირად იტანს. ზოგიერთი მათგანი ახალ პირობებს ადვილად ეგუება,

მეორე ჯგუფი მგრძობიარეა, ხოლო სხვა სახეობა სუსტად ამტანია და იღუპება კიდევ. გადარგვის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს ფესვთა სისტემის სუსტი აგებულება წარმოადგენს. გადატანის დროს ბელტის დაშლა იწვევს დამატებითი ფესვთა სისტემის ძნელად განახლებას.

თესვის დრო დამოკიდებულია სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაზე. მცენარის ყვავილობა შესაძლებელია სასურველ თვეში, თუ ზუსტად დავიანგარიშებთ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას. მაგალითად, ჩვენს პირობებში „მიხაკი შაბოს“ სავეგეტაციო პერიოდი 5-6 თვეა. გაზაფხულის ყვავილობისათვის თესვა ოქტომბერ-ნოემბერში ხდება. ასეთი ანალოგია ლამაზად მოყვავილე დაბალბალახოვან მცენარეებზეც ვრცელდება. ადრე გაზაფხულზე თესვის ჩატარებისათვის ნიადაგი შემოდგომაზე მზადდება. გაზაფხულზე თესვის წინ ნიადაგში სასუქის შეტანა, გაფხვიერება და მოსწორება უნდა ჩატარდეს. ვბალათურია (1966) აღნიშნავს, რომ „მიხაკი შაბოს“ მე-3 სავეგეტაციო პერიოდში იძლევა ნორმალურ ყვავილს, და ეს არამარტო თბილისის პირობებშია შენიშნული. იგი ასახელებს მაღალი ზონის ადგილებსაც — წყკისი, წყნეთი და სხვ. მ.ჯიქიძე (1976) ქება რა შაბოს თესვას, აღნიშნავს, რომ რენტაბელობის გაზრდისთვის საჭიროა მცენარის უშუალოდ კვლებში, მწკრივებში ჩათესვა, სადაც ნაზარდის გამოხშირვით შესაძლებელია მცენარეთა კვების არეს დარეგულირება.

თესვის დროს ნიადაგის სიღრმეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ღრმად მოთავსებული თესლის განვითარებისა და აღმოცენებისათვის დიდი დროა საჭირო, რადგანაც აღმოცენებულ თესლს ნიადაგის ღრმად განლაგებული ფენის გადალახვა უჭირს, ჟანგბადის ნაკლებობის გამო კი ნაზარდი ჭირვეულობს და შეიძლება დაიღუპოს კიდევ. შებრუნებითაც ხდება — ნიადაგის ზედაპირზე მოფანტული თესლი აღარ ღივდება; ამ შემთხვევაში ნიადაგთან მჭიდრო კავშირი ირღვევა და ტენიცი ნაკლებია. წერილმარცვალა თესლი ფხვიერ მიწაში ან სილაში შერეული ითესება. ცნობილია თესვის შემდეგი ნორმები: წერილი მარცვალი 0.5-1 სმ სიღრმეზე ითესება, საშუალო მოცულობის თესლი — 1.5-2 სმ-ზე, ხოლო მსხვილმარცვლიანი თესლი — 3-5 სმ სიღრმეზე.

თესლის თვისებები ბევრად და დამოკიდებული ამა თუ იმ სახეობის ბიოეკოლოგიურ და ფიზიონომიურ აგებულებაზე. თესლის შენახვისას იცვლება მისი თვისებებიც. თესლის შენახვის პროცესში მათი თვისებე-

ბის ცვლილებების შესწავლა აუცილებელია, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მიზნებისათვის. ეს ხელს უწყობს როგორც სახეობათა ბუნებისა და ბიოლოგიის გარკვევას, ასევე სათესლე მასალის რაციონალურად გამოყენებას. (Вайнагий И. 1975) მიხედვით, განსაკუთრებით ფასეულია სისტემატური გამოკვლევები ერთი ნიმუშის თესლის დამწიფებიდან გაღობების სრულ დაკარგვამდე, ვინაიდან ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა, დავადგინოთ თესლის თვისებების დამოკიდებულება მის ასაკსა და წელიწადის სეზონთან.

ყვავილოვანი კულტურების დასათესად ცნობილია ნიადაგის შემდეგი შედგენილობები: 1. ორი წილი ფოთლის მიწა (ან კარგად დაშლილი ტორფი), 1 წილი ნემომპალა და 1 წილი ქვიშა. ასეთი შემადგენლობის საბაღე მიწა გამოიყენება წერილთესლა კულტურებისათვის: ლობელია, ზიზილა, კსანე და სხვ. 2. ორი წილი ბელტის (კორდი) მიწა, 1 წილი ნემომპალა და 1 წილი ქვიშა. ამ შემადგენლობის ნიადაგი გამოიყენება მიხაკის, ასტრასა და სხვა მცენარეებისათვის. 3. ორი წილი ბელტის მიწა, 1 წილი ქვიშა და სათბურის ნემომპალა. ასეთ ნიადაგში ითესება: ალისუმი, ლომისყბა და სხვ.

თიჩეჩეხიშვილი (1972) ნათესარებისა და აღმოცენებული კულტურების ურთიერთკავშირების განხილვისას აღნიშნავს, რომ თესლით მიღებული აღმოცენების პერიოდი დამოკიდებულია არა მარტო ტემპერატურულ რეჟიმზე, არამედ თესვის ჩატარების ვადებზეც. იგი ექსპერიმენტის საფუძველზე ადასტურებს, რომ თესვის ვადებსა და აღმოცენების პერიოდს და მის ტემპს შორის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. კერძოდ, მოგვიანებით დათესვისას აღმონაცენი მიიღება შედარებით სწრაფად, ვიდრე ადრეულად დათესილი ნათესარები, ხოლო საგვიანო გაღობებისა და აღმონაცენის საფუძველზე აღნიშნული პროცესი შედარებით მეტ დროს მოითხოვს. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანია და აგროტექნიკური (გამრავლების) ღონისძიებებში ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორთაგანია.

ჩვენს პირობებში ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მცენარეების დარგვა შეიძლება შემოდგომასზე ან გაზაფხულზე. ნოემბერში დარგული ზიზილა და სამფერი ია მარტ-აპრილში უკვე ჩამოყალიბებულია და ყვავილობს კიდეც. შემოდგომის პირზე დარგული ასეთი მცენარეები ზამთრის სუსხს კარგად იტანენ. მაგალითად, თბილისის ბოტანიკურ ბაღში 1964 წლის

შემოდგომაზე (ოქტომბერ-ნოემბერი) დარგული იყო ზიზილა, კესანე და სამეური ია. ზამთარი მკაცრი და სუსხიანი იყო, იანვარში ჰაერის ტემპერატურამ $-15 - -17^{\circ}\text{C}$ ყინვას მიაღწია. აღნიშნულმა მცენარეებმა ნორჩი ნაზარდის მცირედი დაზიანებით გადაიტანეს ძლიერი ყინვები და აპრილის ბოლოს — მაისში უხვად ყვავილობდნენ. შედარებით გვიანი ყვავილობა გაზაფხულზე დარგულ მცენარეებს ახასიათებთ.

ლამაზად მოყვავილე ინტროდუცირებული მცენარეების უმრავლესობა აღმოცენების შემდეგ გადარგვა-ჯგუთვას (პიკირება) მოითხოვს. ნათესარების შემდგომი განვითარებისათვის ჯგუთვა აუცილებელია. აღმონაცენი კვების დიდ არეს მოითხოვს. ასევე საჭიროა ჰაერი, განათება, სითბო, ხოლო მოზრდილ ჭურჭელში გადარგვისას, იქ სადაც მეტია საკვები ნუთიერება, დარგვის მანძილი დიდდება და აღმონაცენიც კარგად იზრდება. ჯგუთვა აუცილებელია, თუნდაც ერთჯერადი სახით ჩატარებული.

აღმონაცენის გადარგვა შეიძლება ყუთში, კეცში, კვალსათბურში, ცის ქვეშ ღია კვლებში და მუდმივ გასაფორმებელ ნაკვეთზე. კვლებში დათესილი ზოგიერთი მცენარე აღმოცენების შემდეგ ჯგუთვას არ მოითხოვს. ასეთ მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის: ხავერდულა, ცინია და სხვ. ასეთი აგებულების მცენარე უშუალოდ ყვავილნარში ირგვება. აღმონაცენზე მე-2-3 ლებანფოთლის ჩამოყალიბების შემდეგ პირველი ჯგუთვა ტარდება. გადარგვისას, თუ ფესვი გრძელია, წვერი იკვეთება. გადარგულ აღმონაცენებს შორის დარგვის მანძილი 1-3 სმ-ია. თუ მცენარე მეორე ჯგუთვას მოითხოვს — ეს პროცესი 10-15 დღეში მეორდება. დარგვა ტარდება მწკროვში ან რიგებში ერთმანეთს შორის. ჯგუთვის წინ აღმონაცენი უხვად უნდა მოირწყოს.

თბილისის პირობებში ყვავილნარებსა და კვალსათბურებში მცენარეთა ჯგუთვა-განცალკევება სასურველია მოხდეს ღრუბლიან ამინდში. ეს საქმიანობა უმჯობესია, ჩატარდეს დილით ან საღამოს. გაფორმებულ ნაკვეთზე ან კვლებში ჩითილი ირგვება ქაფრით ან ჩხირით დაუშვებელია ამოღებული ჩითილის ჰაერზე გაჩერება. ეს იწვევს ფესვთა სისტემის გამოშრობას და დაღუპვასაც. დარგვის დროს ჩითილი მუდმივად მოითხოვს ყურადღებას, რათა დასარგავ ბუდეში ფესვი არ ჩაიღუნოს. იგი ვერტიკალურად, დაკიდებულ მდგომარეობაში უნდა იყოს. დარგული ჩითილი უხვად მორწყვას საჭიროებს. საბალე მიწის სინოტოვის შესანარჩუნებლად და სარეველებისაგან დასაცავად სასურველია, ნიადაგის ზედაპირზე მულჩი მოეფინოს.

თესლის შვეროვება და შენახვა. ადგილობრივი და ინტროდუქციური ბული მცენარეები თაობის შენარჩუნების მიზნით ნაყოფმსხმოიარობენ. მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება და კარგი ხარისხის თესლი ბევრად და მოკიდებული მცენარის ბიოლოგიურ თვისებებზე, ნიადაგის პირობებზე, განათებაზე, ტემპერატურაზე. ცნობილია, თესლი წარმოიქმნება დამტვერიანების შედეგად, ე.ი. ღინგზე მტერის მარცვლების მოხვედრის შედეგად. ზოგიერთ მცენარეში თვითდამტვერვა ხდება, ნაწილი კი ჯვარდინად იმტვერება. რასაკვირველია, ეს მოვლენა უმეტესად მცენარის ბუნებაზე და მოკიდებული, ადგილმდებარეობაზე, ამინდზე და ბუნებრივ პირობებზე. მაღალხარისხოვანი თესლის მისაღებად და თესლის მომწიფების დასაჩქარებლად სადედე მცენარე ღია, შხიან და კარგი განათების ადგილზე ირგვება. ასევე, გაძლიერებული მორწყვა, ჭარბი ტენი, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა იწვევს მცენარის ნაადრევ ყვავილობასა და თესლმსხმოიარობას.

მცენარის სახეობისა და ჯიშის სიწმინდისათვის აუცილებელია ნაზარდების ცალკე ჯგუფებად დარგვა. დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით ერთი სახეობის ყვავილი და ცუდი უნდა იყოს მეორისაგან. ჯიშთაშორისი დამტვერვა იძლევა ნაირგვარი ყვავილის ფორმისა და შეფერადების მქონე ჩამოყალიბებულ და შერეულ თაობას. ეს იწვევს დაბალბალახოვან მცენარეთა კომპოზიციების დაქვეითებას და მეტესლეობის საქმიანობის გართულებას. სელექციურ მეყვავილეობაში ყვავილების ჯიშების შენარჩუნებისათვის დარგვა გარკვეული მანძილის დაცივით ხდება. მაგალითად, სამფერი ია, პეტუნია — 200 მეტრში, ნარგიზულა, ლობელია, ხავერდულა — 100 მეტრში, ყაყაჩო, ქრიზანთემა — 50 მეტრში, ვერბენა, კორეოპისისი — 10-15 მეტრში, მიხაკი — 5-10 მეტრში, უკედაუა, ლომის ყბა და ნასტურცია ერთმანეთისაგან — 1000 მეტრზე ირგვება, ხოლო ცინია, სურნელოვანი თამბაქო კი — 500 მეტრში და სხვ.

მაღალხარისხოვანი თესლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადედე ყვავილების დროულად წაჩქმეტასა და გასხვლას. მცენარეში, რაც უფრო ნაკლებია ნასკვიანობა, მით უფრო მსხვილი და კარგი ხარისხის თესლი მიიღება. ამისათვის საყვავილე და გვერდითი ღეროების მოცილება ხდება. სადედე მცენარეების გამარგვლისა და ნიადაგის დამუშავებისას ბიოლოგიურად საღი და ჯანმრთელი სახეობა რჩება, ხოლო ზრდაში ჩამორჩენილი, ეკოლოგიურად დაკნინებული და განუვითარებელი სადედეები იზოლირდებიან.

თესლის შვეროვება ბიოლოგიური, მორფოლოგიური და სამეურნეო თვისებებით განსაკუთრებულად გამორჩეული ძლიერი და შედარებით კარგად განვითარებული მცენარეებიდან წარმოებს. ფესვთან ახლოს აღებული თესლი აღმოცენების დიდი უნარით ხასიათდება და ხანგრძლივად ინახება. მოსავლის აღება შესაძლებელია თანდათანობით ან ერთდროულად. შშრალ და ცხელ ამინდში თესლი ადვილად ცვივა. ამიტომ, დაგვიანებისას შეიძლება მაღალხარისხოვანი თესლის შვეროვება ვერ შევძლოთ ზოგჯერ მოუძწიფებელი თესლის აღებაც ზდება, რომელსაც სპეციალურად საშრობ ნაგებობაში ვინახავთ ასეთი შენობები ნათელია და უნდა ნიჟღებოდეს. ოთახის ტემპერატურა დაცული უნდა იყოს, სასურველია 5-12°C. შედარებით მაღალი ტემპერატურა თესლის გამოფიტვას იწვევს და აღმოცენების უნარიც იკარგება. თესლი ინახება ყუთებსა და ტომრებში. ყვავილების თესლი 3-4 წელიწადს ინარჩუნებს აღმოცენების უნარს, თუმცა ზოგიერთი მცენარის 10 წლამდეც კი.

სარეველები და ბრძოლის ღონისძიებები. დაბალბალახოვანი მცენარეებით შექმნილ მოლში (გაზონი) ან ყვავილნარში არასაკმარისი მოვლის შედეგად წარმოიქმნება სარეველები, რომლის უხეში ღეროები და ფოთლები მკვეთრად აქვეითებს დეკორატიულობას და უკიდურესად უშნო და ულახათო იერს ანიჭებს ყვავილნარსა თუ მოლს. გარდა ამისა, სარეველები დაბალბალახოვანი მცენარეების ზრდა-განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებენ. (Сигалов Б. 1971) მიხედვით ბევრი სარეველა მწერ-მაფნებლის თუ დაავადებათა ჩასახვის კერის ძირითად ან შუალედურ საშუალებას წარმოადგენს. სარეველები აქვეითებენ მოთიბული ბალახის საკვებ თვისებებს. მოლის მცენარეების სისტემატური კრეჭა ან მოთიბვა ასუსტებს სარეველების მიწისქვეშა ორგანოების განვითარებას, ასევე ნაკვეთის მობელტვა იწვევს ნიადაგის გამკვრივებას და სარეველას ზრდის შეფერხებას.

მოლის ფართობზე მექანიკური დამუშავება სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებაში არაა გათვალისწინებული, მაგრამ აუცილებელია გამარგვლა, ვინაიდან მისი დაგვიანება აქვეითებს ბრძოლის ეფექტურობას, თუმცა მიწისზედა მასის მოცილება სტიმულაციას აძლევს მიწისქვეშა ვეგეტაციური ორგანოების ზრდასა და განახლებას. სასურველია მათი ამოძირკვა და ვეგეტაციური ნაწილების დაწვა.

სარეველათა განადგურებისას ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ ღონის-

ძიებად ითვლება ქიმიური (შხამქიმიკატების) მეთოდი, რაც, კერძოდ, პერბიციდების შეტანა, მნიშვნელოვნად ანადგურებს სარეველებს, უზრუნველყოფს მოლის დეკორატიულობის შენარჩუნებას და ნაკლებად საჭიროებს შრომატევადი გამარგელის გამოყენების აუცილებლობას.

მაენებელ-დააუადებები და ბრძოლის ღონისძიებები. ხე-ბუჩქებსა და ყვავილოვნათა კულტურებში ხშირად შეინიშნება მაენებელ-დააუადებათა კერები, თუმცა დაზღვეული არაა თვით დაბალბალახოვანი მცენარეებიც, რომელთაც არასწორმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა და სხვა ფაქტორებმა, შესაძლებელია, შეუქმნან აუადმყოფობისა და დააუადებების საწყისი სიმპტომები, რაც მოგვიანებით მცენარის ვეგეტატიური ორგანოების დეფორმაცია-დეგრადაციას იწვევს და დეკორატიული იერის დაქვეითებით დაკნინებული მცენარეები იღუპებიან. პროფ. დ.ხუსაიონი (1995) მიგვითითებს რა მცენარეთა აუადმყოფობისას მოვლის არასწორ ღონისძიებებზე, აღნიშნავს დაზიანებული ნაწილის მოცილებისა და ფუნგიციდით დამუშავების აუცილებლობას.

ნ.ყუბანიევილი, ლ.მეტრეველი და სხვ. (1992) მაენებელ-დააუადებათა წინააღმდეგ ფიზიკურ-მექანიკური, აგროტექნიკური და ქიმიური საშუალებებით ბრძოლის ჩასატარებლად იძლევიან რეკომენდაციებს კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. ეს ღონისძიებები ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში. მახრის ნიადაგში ჩამკვიდრებული კვერცხებისა და მატლის ბუდეების განადგურება შედარებით ღრმა მოხვნით ხორციელდება. შემოდგომით დიქლორეთანით ან დღ-ით, ხოლო გაზაფხულზე ქლოროფოსით ან როგორით ნიადაგის მორწყვა ხდება. ფრთათუთრა საჭიროებს როგორის ან ანთიოსი (Q2%) და აშშუმის ან ციმბუმის (Q01%) ხსნარის შესხურებას, თრიფსი — როგორის ან კარბოფოსის (Q2%) ხსნარის შესხურებას, ბაღლინჯო-სარეველების მოსპობა — კარბოფოსის (Q1-Q4%) ხსნარის, რწყილი-სარეველების მოსპობა — როგორის ან ფაზალონის (Q2%) ხსნარის შესხურებას. ჩრჩილი-სარეველას და ნარჩენის მოსპობა ნიადაგის გადაბარვით ხდება. ქლოროფოსის (Q3%), მეტაფოსის (Q12-Q92) ან ფტალოფოსის (Q1-Q15%) ხსნარის შესხურებით ხდება ფოთოლჭამია სარეველას მოსპობა და ნიადაგის დამუშავება. დაზიანებული მცენარეების დამუშავება წარმოებს როფოსის (Q15-Q3), როგორის (Q2%) ან ფაზალონის (Q2%) ხსნარის შესხურებით, ჩრჩილი-სარეველას და მცენარის ნარჩენის მოსპობითა და ნიადაგის გადაბარვით მეტაფოსის

(Q12-Q92) ან ფტალოფოსის (Q1-Q15%) ხსნარით დამუშავებას საჭიროებს ალურა-სარეველა და მცენარეული ნარჩენები. დაზიანებული ადგილების ქლოროფოსის (Q15-Q3%) ან როგორის (Q2%) ხსნარით ხდება. ზეატარი ნიადაგის სუზონური დამუშავება, სარეველების მოსპობა ქლოროფოსის (Q15-Q3%) ან კარბოფოსის (Q2%) ხსნარით დამუშავებას საჭიროებს. ტკიპა—სარეველას და მცენარეული ნარჩენების განადგურება ნიადაგის შემოდგომაზე გადაბარვით ხდება. მცენარის შესხურება წარმოებს კელტანის (Q2%), აკრუქსის (Q1%) ან კოლოიდური გოგირდის (Q1-Q5%) ხსნარით მოლუსკებთან ბრძოლა ითვალისწინებს შემოდგომით ნიადაგის დამუშავებას (მოზამირე კვერცხების გასანადგურებლად), მცენარეული ნარჩენის დაწვას, მცენარეზე ჰექსაქლორანის დუსტის მოფრქვევას. რიზოქტონია სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ვეგეტაციური ნაწილების ლაბობას იწვევს. აქ საჭიროა ფუნდაზოლის (Q2%), ცინების (Q4%) ან კუპროზანის (Q4.5%) სუსპენზიით ნიადაგის მორწყვა და ამ ხსნარის შესხურება. ჟანგა — სარეველას და მცენარეული ნარჩენის მოსასპობად საჭიროა ცინის (Q4%), კოლოიდური გოგირდის (Q2%), სპილენძის ქლორჟანგის (Q4-Q5%), ბორდოს სითხის (1%) ხსნარით დამუშავება. სასურველია ფოსფორის და კალიუმის სასუქის შეტანა. ლაქიანობისას აუცილებელია მცენარეთა ნარჩენების მოსპობა და ნიადაგის ღრმა გადაბარვა, 2 კვირაში ერთხელ კი ფუნდაზოლით (Q05-Q1%), ცინების (Q4-Q5%), კუპროზანის (Q4%) ხსნარით დამუშავება. ბაქტერიებთან ბრძოლისას საჭიროა მცენარეული ნარჩენის შემოდგომაზე მოსპობა ხოლო გაზაფხულზე — დაზიანებული მცენარეების დაწვა. დაავადებული ვეგეტატიური ორგანოები ბორდოს სითხით (1%) ან სპილენძის ქლორჟანგით (Q4-Q5%) დამუშავებას მოითხოვს. ვირუსებთან ბრძოლა ითვალისწინებს სარეველას მოსპობას, დაავადებული მცენარეების დაწვას. ამოღებული ადგილების დამუშავება კი ფუნგიციდებით ხდება. ნემატოდების არსებობის შემთხვევაში საჭიროა ვეგეტატიური ორგანოების დაწვა, სარეველების მოსპობა, კარბოფოსის (Q1%) ან როგორის (Q15%) ხსნარით დამუშავება.

საქართველოს მრავალფეროვანი ფლორის დაბალბალახოვანი მცენარეების 17 ოჯახის, 67 გვარის და 178 სახეობისათვის ჩვენს მიერ შედგენილია აგროტექნიკური კლასიფიკაცია. შემუშავებულია ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებათა მწყობრი სისტემა, რომელშიც გამოყოფილია ის მთავარი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცენარეთა ნორმალურ ზრდა-განვითარებასა და ხელს შეუწყობენ მათ მოვლას.

საქართველოს დაბალბალახოვანი მცენარეების აგროტექნიკური კლასიფიკაცია

ცხრილი 5

მცენარის სახელწოდება	გამრავლება		სასაყარო ვიწროვანი		დაშრება (ინტენსიური) სმ-ში		რაოდენობა		დაზიანება		ნიადაგი		შრიფტი	
	ფესვი	კვანძები	საფარი	სიღრმე	სიგრძე	სიგანგობა	1 კმ. მდე	1 ჰა. მდე	საზოგადოებრივი	საპროფესიონალი	საზოგადოებრივი	საპროფესიონალი	საზოგადოებრივი	საპროფესიონალი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
<p>Apocynaceae Juss ქინძორისებრი</p> <p>Vinea L. გველის სურვი</p> <p>V. herbacea Waldst. et Kit.</p> <p>V. pubescens D' Urv.</p>		+	20.4	15x20	25	30	4	+	+	+		+	+	
<p>Araliaceae Juss. პოლიასტრები</p> <p>Hedera L. სურვი</p> <p>H. helix L.</p> <p>H. colchica (C. Koch) C. Koch</p>		+	15.3	30x30	30	10	3	+	+	+		+	+	
<p>Asteraceae ასტროსებრი</p> <p>(როდოდენდროლოგიური)</p> <p>Achillea L. ფარსმანდუკი</p> <p>A. filipendulina Lam.</p> <p>A. millefolium L.</p>		+	25.3	35x35	30	10	3	+	+	+		+	+	
		+	15.4, 9.10	25x15	20	24	4	+	+	+		+	+	
		+	15.4, 9.10	25x15	20	24	4	+	+	+		+	+	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
<i>Antennaria Gaertn. ბუკუტანა</i>	+	+	15.4	15x10	15	60	6			+			+
<i>A. caucasica Doriss.</i>													
<i>Anthemis L. ირაბა</i>	+	+	15.4, 9.10	25x15	15	24	4			+	+		+
<i>A. dumetorum Sosn.</i>	+	+	- -	25x15	15	24	4			+	+		+
<i>A. marschalliana Willd.</i>													
<i>Artemisia აფინი</i>	+	+	15.4, 15.10	20x10	15	50	5			+	+		+
<i>A. caucasica Willd.</i>													
<i>Aster L. ასტრა</i>	+	+	15.4, 20.10	25x10	15	24	4	+	+	+	+		+
<i>A. alpinus L.</i>	+	+	- -	25x10	15	24	4	+	+	+	+		+
<i>A. ibericus Stev.</i>													
<i>Bellis L. ზიზღლა</i>	+	+	9.10	10x10	10	100	10	+	+	+	+		+
<i>B. pcrennis L.</i>													
<i>Erigeron L. ცენციკული</i>	+	+	12.4, 9.9	25x10	15	24	4	+	+	+	+		+
<i>E. alpinus L.</i>	+	+	12.4, 9.9	25x10	15	24	4	+	+	+	+		+
<i>E. venustus Botsch.</i>													
<i>Omalotheca L. ბურვლა</i>	+	+	15.4	20x20	25	25	5	+	+	+	+		+
<i>O. caucasica L. (Somm. Et Lavier) Czer.</i>													
<i>Psephellus Cass ფსეფელუსი</i>	+	+	15.4, 9.9	20x20	25	25	5	+	+	+	+		+
<i>P. barbeyi . Albov.</i>	+	+	15.4, 9.9	20x20	25	25	5	+	+	+	+		+
<i>P. carthalinicus Sosn.</i>													

<i>Hieracium L.</i>	+	+	15, 4, 9, 10	15x15	20	36	6								+	
<i>H. pilosella L.</i>															+	
Boraginaceae ლამუკარსებრნი																
<i>Brunnera Stev.</i> გობისცვირა	+	+	3, 04, 2, 10	12x12	23	25	6	+	+	+					+	
<i>B. macrophylla (Adams.) Johnst.</i>																
<i>Buglossiodes Moench</i>	+	+	15.4		25	25	5	+	+	+						
<i>B. tenuiflora (L. fil.) Johnst.</i>																
<i>Myosotis L.</i> კჳახე																
<i>M. alpestris F. M. Schmidt</i>	+		9, 10	10x10	15	100	10	+	+						+	
Brassicaceae ვეჯროსანნი																
<i>Aethlonema R. Br.</i> თოიონგა																
<i>A. edentulum N. Busch.</i>	+	+	15, 4, 9, 10	10x15	15	60	10	+	+						+	
Alyssum L. ლღისუბი																
<i>A. murale Waldst. et Kit.</i>	+	+	15, 4, 9, 9	20x20	20	25	5	+	+						+	
<i>A. trichostachyum Rupr.</i>	+	+	15, 4, 8, 9	25x25	20	16	4	+	+						+	
Arabis L. არაბულა																
<i>A. caucasica Schlecht.</i>	+	+	15, 4, 8, 9	25x25	25	16	4	+	+						+	
Draba L. ქუდუნა																
<i>D. bryoides DC.</i>	+	+	104, 8, 9	20x20	20	25	5	+	+						+	
Coluteocarpus Boiss გუგუტარა																
<i>C. versicaria (L.) Holimboe</i>	+	+	15, 4, 8, 10	15x15	20	36	6	+	+						+	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
Campanulaceae მარტყაგბრნი													
Campanula L. მარტა	+		10.4, 15.9	15x15	20	36	6	+	+	+	+		+
C. amazica Charadze	+		--	--	20	36	6	+	+	+	+		+
C. aucheri A. DC.	+		--	--	20	36	6	+	+	+	+		+
C. collina Bieb.	+		--	--	20	36	6	+	+	+	+		+
C. kemulariac Fomin	+		--	--	20	36	6	+	+	+	+		+
C. petrophila Rupr.	+		--	--	20	36	6						+
C. raddeana Trautv.	+		--	--	20	36	6						+
Caryophyllaceae მარტყაგბრნი													
Arenaria L. არენარია													
A. rotundifolia Bieb.	+		15.4, 20.5	20x20	20	25	5			+			+
A. lychnidea Bieb.	+		15.4, 20.5	20x20	20	25	5			+			+
Cerastium L. პაროტარია													
C. argenteum Bieb.	+	+	10-15.4	15x15	15	35	6	+	+	+	+		+
C. arvense L.	+	+	--	--	15	35	6	+	+	+	+		+
C. cerastoides (L.) Brit.	+	+	--	--	15	35	6					+	+
C. kasbek Parrot.	+	+	--	--	15	35	6					+	+
C. multiflorum C.A.Mey.	+	+	--	--	15	35	6					+	+
C. polymorphum Rupr.	+	+	--	--	15	35	6					+	+
C. sosnowskyi Schischk.	+	+	--	--	15	35	6					+	+
C. svanicum Charadze	+	+	--	--	15	35	6					+	+

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
Crassulaceae მსუკანასკნენი													
Sedum L. კლდის დოვა													
S. acre L.	+	+	15.4, 9.10	5x5	5	400	20	+	+	+			+
S. album L.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. annuum L.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. caucasicum (Grossh.) Boiss.	+	+	-.-	25x25	25	16	4	+	+	+			+
S. gracile C.A.Mey.	+	+	-.-	5x5	25	400	20	+	+	+			+
S. hispanicum L.	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. involueratum Bieb.	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. oppositifolium Sims	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. pallidum Bieb.	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. rubrum (L.) Thell.	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. spurium Bieb.	+	+	-.-	-.-	25	400	20	+	+	+			+
S. stevenianum Rouy et Camus	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. stoloniferum S.G. Gmel.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. subulatum (C.A.Mey.) Boiss.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. tenellum Bieb.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
Sempervivum L. კლდისმულვა													
S. armenum Boiss. et Huet	+	+	10.4, 9.9	5x5	5	400	20	+	+	+			+
S. caucasicum Rupr. ex Boiss.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. pumilum Bieb.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. sosnowskyi Ter – Chatsch.	+	+	-.-	-.-	5	400	20	+	+	+			+
S. transcaucasicum Muirhead	+	+	10.4, 9.9	5x5	5	400	20	+	+	+			+

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
Lamiaceae ტუჩოსებრნი													
Ajuga L. პირწყინა													
A. orientalis L.	+	+	15.4, 9.10	20x20	20	25	5	+	+	+			+
A. reptans L.	+	+	-,-	-,-	20	25	5	+	+	+			+
Glechoma L. ოზონა													
G. hederacea L.	+	+	10.4, 9.9	20x20	20	25	5			+			+
Prunella L. შუაფი													
P. grandiflora (L.) Scholl.	+	+	15.4, 9.10	15x15	15	36	6			+		+	
P. laciniata (L.) L.	+	+	-,-	-,-	15	36	6			+		+	
Salvia L. სალვი													
S. compar Trautv. ex Grossh.	+	+	12.4, 9.10	20x20	20	25	5			+		+	
S. garedjii Troitzk.	+	+	-,-	-,-	20	25	5			+		+	
Scutellaria L. მუზარადა													
S. orientalis L.	+	+	15.4, 15.10	15x15	15	36	6	+	+	+		+	
S. sosnowskyi Takh.	+	+	-,-	-,-	15	36	6	+	+	+		+	
Stachys L. დედფურცარა													
S. germanica L.	+	+	15.4, 20.10	20x20	20	25	5			+		+	
S. inflata Benth.	+	+	-,-	-,-	20	25	5			+		+	
S. lanata Jacq.	+	+	15.4, 20.10	20x20	20	25	5	+	+	+		+	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
<i>Alopecurus L. მელკედა</i>	+	+	15.4	20x20	20	25	5			+		+	
<i>A. tiflisiensis (Wetsb.) Grossh.</i>													
Bromopsis Fourr. გობოლა													
<i>B. incermis (L.-cyss.) Holub</i>	+	+	15.4	25x25	25	15	4			+		+	
<i>Cynodon Rich. გლერტა</i>													
<i>C. dactylon (L.) Pers.</i>	+	+	15.5	15x15	15	36	6	+	+	+		+	
<i>Cynosurus L. თოფქვრა</i>													
<i>C. cristatus L.</i>	+	+	15.4	20x20	20	25	5			+		+	
<i>Dactylis L. სპირობერი</i>													
<i>D. glomerata L.</i>	+	+	15.4	25x25	25	16	4			+		+	
<i>Festuca L. წიგანა</i>													
<i>F. pratensis Huds.</i>	+	+	15.4, 20.10	15x15	15	36	6			+		+	
<i>F. rubra L.</i>	+	+	- - -	- - -	15	36	6	+	+	+		+	
<i>F. valesiaca Gaudin</i>	+	+	- - -	- - -	15	36	6	+	+	+			-
Koeleria Pers. კეწეწურა													
<i>K. cristata (L.) Pers.</i>	+		15.4, 20.10	20x20	20	25	5			+		+	
Lolium L. კონდაბი													
<i>L. perenne L.</i>	+		15.4, 10.10	20x20	20	25	5	+	+	+		+	
<i>L. multiflorum Lam.</i>	+	+	- - -	- - -	20	25	5	+	+	+		+	

Melica L. მელიკა	+		15.4, 9.10	20x20	20	25	5			+			+	+	+
M. altissima L.	+		--	--	20	25	5			+			+	+	+
M. minor Hack.	+		--	--	20	25	5			+			+	+	+
M. transsilvanica Schur	+														
Paspalum L. ლაგარტა	+		15.4, 1510	20x20	20	25	5			+					+
P. paspalodes (Michx.) Scribn.	+														
Poa L. თევქსარა	+	+	15.4, 9.10	15x15	15	36	6			+			+	+	+
P. alpina L.	+	+	--	--	15	36	6		+	+			+	+	+
P. bulbosa L.	+	+	--	--	15	36	6						+	+	+
P. pratensis L.	+	+	--	--	15	36	6								
Phleum L. ტომოილა	+		15.4, 9.10	20x20	20	25	5			+					+
Ph. alpinum L.	+		--	--	20	25	5			+					+
Ph. pratense L.	+														
Stipa L. ვატიწვერა	+	+	15.4, 15.10	20x20	20	25	5			+					
S.capillata L. წურწურვა	+	+	--	--	20	25	5			+					
S. lessingiana Trin. et Rupr.	+	+	--	--	20	25	5			+					
S. pulcherrima c. Koch	+	+	15.4, 15.10	20x20	20	25	5			+					
Primulaceae ფეროსულსკბრნი															
Androsace L. ტაკუნა	+	+	15.4, 20.10	15x15	15	36	6			+					+
A. barbata Ovcz	+														

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
Primula L. ფურისულა	+		15.4, 20.10	15x15	15	36	6			+		+		
														P. amoena Bieb.
														P. cordifolia Rupr.
														P. julinae Kusun.
														P. meyeri Rupr.
														P. sagurnmica Gavt.
Ranunculaceae ბიასტეპინი														
Pulsatilla Mill. მუღბარი														
P. gcorica Rupr.	+		15.4, 15.10	15x15	15	36	6			+		+		
Rosaceae ვარდიკებანი														
Alchemilla L. მარბუჭი														
A. caucasica Bus.	+	+	15.4, 10.10	20x20	20	25	5			+		+		
A. sericea Willd.	+	+	-.-	-.-	20	25	5			+		+		
A. rigida Bus.	+	+	-.-	-.-	20	25	5			-		+		
Duchesaca Smith გველის მარწყვა														
D. indica (Andr.) Focke	+	+	15.4, 10.10	20x20	20	25	5			+		+		
Potentilla L. მარწყვა ბალახი														
P. brachypetala Fisch. Et c. A. Mey. ex Lehm.	+	+	18.4, 9.10	15x10	15	60	6			+			+	
P. argentea L.	+	+	20.4, 9.10	15x10	15	60	6			+			+	
P. reptans L.	+	+	20.4, 9.10	15x10	15	60	6			+			+	

სახეობა	+	+	+	15.4, 9.10 20.4, 9.10	15x10 15x10	15 15	60 60	6 6	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	ინტენსიურობა		
																			ინტენსიურობა	ინტენსიურობა	
<i>Sibbaldia L. ფეხბეგაბა</i>	+	+																			
<i>S. parviflora Willd.</i>	+	+																			
<i>S. semiglabra C.A. Mey.</i>	+	+																			
Saxifragaceae ფხოვასებნი																					
<i>Saxifraga L. ფხოვა</i>																					
<i>S. cartilaginea Willd.</i>	+	+		15.4	15x15	15	36	6	+											+	+
Scrophulariaceae შუწამბლასებნი																					
<i>Veronica L. ჩილანდარი</i>																					
<i>V. armena Boiss. et Huet</i>	+	+		20.4, 10.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. gentianoides Vahl</i>	+	+		15.4, 10.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. orientalis Mill.</i>	+	+		10.4, 9.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. peduncularis Bieb.</i>	+	+		20.4, 9.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. pteraea (Bieb.) Stev.</i>	+	+		20.4, 9.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. orchidea Crantz</i>	+	+		15.4, 9.10	10x10	10	100	10	+											+	+
<i>V. telephiifolia Vahl</i>	+	+		15.4, 9.10	10x10	10	100	10	+											+	+
Violaceae იმბებნი																					
<i>Viola L. ია</i>																					
<i>V. alba Bess.</i>	+	+		20.4, 9.10	15x10	10	60	6	+											+	+
<i>V. odorata L.</i>	+	+		20.4, 10.10	15x10	10	60	6	+											+	+
<i>V. oreades Bieb.</i>	+	+		20.4, 15.10	15x10	10	60	6	+											+	+

თავი IV

დეკორატიული დაბალბალახოვანი მცენარეების ბაზოფენება გამწვანებაში

მოლიანად საქართველოს ბუნების, უპირველეს ყოვლისა კი მისი მცენარეული საფარის მრავალფეროვნება, უმთავრესად განპირობებულია ქვეყნის მთაგორიანი რელიეფითა და გეოპლასტიკური თვისებებებით, რაც განსაკუთრებულ საშუალებას იძლევა მდიდარი და ნაირგვარი მცენარეული ასორტიმენტის შესაქმნელად. აკად. გროსკეიმს (Гроссгейм А., 1952) კავკასიის მცენარეული საფარის დახასიათებისა და განხილვის დროს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მხედველობაში ჰქონდა საქართველოს ფლორა, ის აღნიშნავდა: „კავკასიის თვისებურება გამოიხატება იმაში, რომ თვისი მკვეთრად ცვალებადი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო, მას შეუძლია მოეცეს ისეთი დეკორატიული მასალა, რომელიც გამოდგება საბჭოთა კავშირის როგორც უკიდურესად სამხრეთი მხარეებისათვის, ისე უკიდურესად ჩრდილოეთისათვის, როგორც ძლიერ ნოტიო, ასევე უაღრესად შშრალი რაიონებისათვის, როგორც მლაშობ, ასევე არამლაშობი, ადგილებისათვის. კავკასიის ეს სრულიად საკავშირო მნიშვნელობა არასოდეს არ უნდა გვეიწყებოდეს. კავკასია ჭეშმარიტად წარმოადგენს გამწვანების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად საკავშირო „ბელელს“.

დეკორატიულ მებაღეობაში მცენარეების წარმოებაში დანერგვისათვის საქართველოს ველური ბალახოვანი მცენარეები ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა. კერძოდ, დაბალბალახოვანი ველური მცენარეები, ყოველმხრივი გამოცდისა და სრულყოფილი გამოკაყების შემდეგ, ფართოდ გამოიყენება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორებიცაა, მაგალითად სოფლის მეურნეობა, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, ტექნიკური და საფეიქრო წარმოება. ველური მცენარეები აგრეთვე გამოიყენება ადამიანის საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. ამ მცენარეების პრაქტიკული თვისებებიდან გამომდინარე მათი უტილიტარულ-გამოყენებითი მნიშვნელობა სწორედ რომ ჩვენი ქვეყნის მატერიალური დოვლათის დაგროვების ერთ-ერთი საშუალებაა. ბიოლოგიური, ტექნიკური და სხვა ძვირფასი თვისებების შემცველი მერქნიანი და ყვავილოვანი მცენარეები — ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა.

4.1 წარმოებაში რეკომენდებული ადგილობრივი დაბალბალახოვანი მცენარეების დარაიონება

ჩვენი ქალაქები, სოფლები, რაიონული ცენტრები, დასახლებული ადგილები, საყოველთაოდ ცნობილი კურორტები და სააგარაკო კომპლექსები მოითხოვს გამწვანებასა და კეთილმოწყობას. ცნობილია, არქიტექტურულ ნაგებობებთან და მცირე ხუროთმოძღვრულ ფორმებთან მთლიანობაში ხე-ბუჩქები და ბალახოვანი ლანდშაფტი გარკვეულ ეფექტს ქმნის. ამიტომ დასარგავ მცენარეთა ასორტიმენტის გაზრდაა საჭირო, რაც ძირითადად ჩვენი ბუნებრივი მცენარეული რესურსების ხარჯზე უნდა ხდებოდეს.

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული დაკვირვებები ბუნებაში შვეროვებული მასალების (ცოცხალი მცენარის გადმოტანა, თესლით და ვეგეტაციური ორგანოების გამრავლება) და საცდელ ნაკვეთებზე ინტროდუცირებული ცდების შედეგების საფუძველზე (მორფოგენეზი) ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვემუშაებინა დეკორატიული დაბალბალახოვანი მცენარეების წარმოებაში დანერგვის და რეკომენდებული (ველური დაბალბალახოვანი) მცენარეების დარაიონების საკითხები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ფლორისტულ რეგიონებში მათ გავრცელებაზე და ქალაქში, სოფლად, რაიონულ ცენტრში თუ დასახლებული გამწვანების ადგილებში გამოყენების შესაძლებლობებზე. ინტროდუქციის შედეგად ზოგიერთმა სახეობამ გამოაგლინა სიცოცხლის უნარიანობის ფართო დიაპაზონი, რამაც მათი გავრცელების და გამწვანებაში გამოყენების ტერიტორია მნიშვნელოვნად გააფართოვა.. ამ მიზნით აღნიშნულ კლასიფიკაციაში დამუშავებულია 17 ოჯახის, 67 გარის და 178 სახეობის ველური დაბალბალახოვანი მცენარეული ასორტიმენტი. ამ მცენარეთა გარკვეული რაოდენობა ბუნებასა და საცდელ ნაკვეთებში გამოცდილია და აპრობაციის შედეგად მუდმივ გაფორმებაში თბილისის ბალ-პარკებში განთავსდნენ სხვადასხვა დეკორატიული ფორმებით, როგორებიცაა: ორნამენტული კლუმბა, რაბატი, არაბესკი, კლდოვანი და ქვის ნაკვეთები, ქუჩის ყვევინარების ნაკეთობები, მოლის სახით ხე-ბუჩქებთან კომპოზიციებში, ინტერიერის ლანდშაფტური გაფორმებები, ჩანჩქერის წყლის სფეროციო და მცირე არქიტექტურული ფორმების ნაკეთობები და სხვ.

წარმოებაში რეკომენდირებული ველოური დასაბლავლახოენი მცენარეების რაიონირება

ცხრილი 6

მანარის სახეობა	სამართლმოს დროისადა რაიონი	მალაიხი და დასაბლავლახოენი არეიონი
1	2	3
<p>Apocynaceae Juss ქნდირისებრი <i>Vinea L.</i> ნველის სური <i>V. herbacca Waldst. et Kit.</i> <i>V. pubescens D' Urv.</i></p>	<p>ქართ., კახ., გარე კახ., ქვ. ქართ. აფხ., რაჭო-ლეჩხ., სამეგრ., იმერ., გურ., აჭარ.</p>	<p>თბილისი, რუხთაი, ლავოდქი, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, დუშეთი, კასი სოსხე, გავრა, ტყვარჩელი, გალი, აბაშა, იჭურველი, სენაკი, ქუთაისი, ბათუმი</p>
<p>Araliaceae Juss. პოლიასებრი <i>Hedera L.</i> სური <i>H. helix L.</i></p>	<p>აფხ., გურ., აჭარ., ქართ.</p>	<p>სოსხე, ტყვარჩელი, გავრა, გალი, იმამჩირე, ბათუმი, თბილისი, რუხთაი, თელავი, ლავოდქი</p>
<p><i>H. colchica (C. Koch) C. Koch</i></p>	<p>აფხ., იმერ., აჭარ</p>	<p>სოსხე, გავრა, იმამჩირე, გალი, ბათუმი, ქუთაისი, წყალტუბო სახსრე, ზქტაფორი</p>
<p>Asteraceae ატრისებრი (ჩოლეფეოლეფანა) <i>Achillea L.</i> ფაქსანდუფ <i>A. filipendulina Lam.</i></p>	<p>იმერ., ქართ., კახ. სამეგრ., იმერ., ქართ.</p>	<p>თბილისი, გორი, სპური, რუხთაი, თელავი, ლავოდქი, ქუთაისი, სახსრე, ზქტაფორი, თბილისი, გორი, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი</p>
<p><i>A. millefolium L.</i> <i>Antennaria Gaertn.</i> ბუქეტანი <i>A. caucasica Boriss.</i></p>	<p>რესპუბლიკის შიანი რაიონები</p>	<p>ყაზბეგი ბაკურიანი, ბორჯომი, გუდგაური</p>
<p><i>Anthemis L.</i> რაგა <i>A. dumetorum Sosn.</i> <i>A. marschalliana Willd.</i> <i>Artemisia</i> აგმანი <i>A. caucasica Willd.</i> <i>Aster L.</i> ატრა <i>A. alpinus L.</i> <i>A. ibericus Siev.</i></p>	<p>ქართ., კახ., თრიალ., მესხ. აფხ., რაჭო-ლეჩხ., სამეგრ., გურ. შიონქინა და შუამთიანეთის რაიონები რესპუბლიკის შიანი რაიონები ქართ., თებ-ფშავთსურ, თრიალ., ჯავახ., მესხ.</p>	<p>თბილისი, თელავი, ახალქალაქი, ახალციხე არაბიკა, მესტია, შოფი, გამბარო, სირაქე ყაზბეგი, ლავოდქი, ბაკურიანი, გუდგაური თბილისი, ბორჯომი ყაზბეგი, ლავოდქი, ბაკურიანი, გუდგაური თბილისი, სპური, ახალქალაქი, ვარძია, დუშეთი, ბაზალეთი, ჩარგალი, ახალციხე</p>

Bellis L. ზიზილა B. perennis L.	აფხ., იმერ., გურ., ქართ.	სოსუმე, ქუთაისი, ოზურგეთი, სამტრედია, გორი
Erigeron L. ცენტრეოდა E. alpinus L. E. venustus Boissch.	რესპუბლიკის მთიანი რაიონები აფხ., სვან., ქართ., თრიალ.	ბაკურიანი, ყაზბეგი, ბაზმარი, გუდაუთი სოსუმე, მესტია, ხაშური, ახალქალაქი
Omalotheca L. ბერეულა O. caucasica L. (Somm. Et Lavier) Czern.	აფხ., სვან., თრიალ., მესხ.	სოსუმე, მესტია, ახალქალაქი
Psephellus Cass ფსევდელუსი P. barbeyi . Albov. P. carthalinicus Sosn.	აფხ., სვან., ვეჯახ. ქართ., კახ.	გაგრა, სოსუმე, გაღი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი გორი, ხაშური, თელავი, მურჯანთი, ლავიოდენი
Hieracium L. სარბუჯა H. pilosella L.	მთელ რესპუბლიკაში	თბილისი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, ბორჯომი, თელავი, სიღნაღი, ლავიოდენი, გაღი, გაგრა, სოსუმე, ბათუმი, ქობულეთი
Borraginaceae ლამპკარასებრი Brunnera Stev. გობისცხვირა B. macrophylla (Adams.) Johnston. Buglossoides Moench B. tenuiflora (L. fil.) Johnston.	აფხ., სვან., რაჭა-ლეჩხ., სამეგრ., იმერ, გურ., აჭარ., შიდა ქართი, ქართ., მესხ. ქართ., თრიალ.	სოსუმე, მესტია, ონი, სენაკი, ვანი ბათუმი, ახალციხე, ვარძია, ცხინვალი, თელავი გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე
Myosotis L. კქაწან M. alpestris F. M. Schmidt	მთელ რესპუბლიკაში	თბილისი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ონი, სამტრედია, სენაკი, გაგრა, სოსუმე
Brassicaceae ვეკაროსანნი Aethionema R. Br. თიონემბე A. edentulum N. Busch. Alyssum L. ალისუმები A. murale Waldst. et Kit. A. urichostachyum Rupr.	იმერ., ქართ.	ქუთაისი, სამტრედია, ხაშური, გორი, თბილისი
Arabis L. არაბულა A. caucasica Schlecht. Draba L. კუდუნა D. bryoides DC.	აფხ., სვან., შიდა რაჭა-ლეჩხ., მესხ. აფხ., სვან., რაჭა-ლეჩხ., შიდა ქართი, ქართი, შიდალ.	სოსუმე, მესტია, დუშეთი, ახალქალაქი, ვარძია გაგრა, ონი, ცხინვალი, მცხეთა, დუშეთი
Coluteocarpus Boiss ბუტტარა C. versicaria (L.) Holmboec	აფხ., რაჭა-ლეჩხ., ქართი., შიდა ქართი., ვეჯახ. აფხ., სვან., შიდა ქართი., თუშ-ფშა-ტყეცხურ., კახ.	სოსუმე, გაგრა, ონი, ცხინვალი, ვარძია გაგრა, ოჩამჩირე, მესტია, ცხინვალი, თელავი
	სვან., კახ., ვეჯახ., მესხ.	მესტია, ხაშური, ახალქალაქი, ახალციხე

1	2	3
<p>Campanulaceae მარტიკებანი</p> <p>Campanula L. მარტა</p> <p>C. armazica Charadze</p> <p>C. aucheri A. DC.</p> <p>C. collina Bieb.</p> <p>C. kemulariae Fomin</p> <p>C. petrophilia Rupr.</p> <p>C. radiceana Trautv.</p>	<p>ქართ.</p> <p>თრიალ., ჯავახ.</p> <p>აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები</p> <p>შემო იმერ.</p> <p>აფხ., სვან., კახ., თრიალ.</p> <p>ქართ., ჯავახ., მესხ.</p>	<p>თბილისი, მცხეთა, გორი, სამურის ვარძია, ახალქალაქი, ახალციხე ბაკურიანი, ყაზბეგი, გუდამაყი, ვარძია სამხრეთ, ვიარაზი</p> <p>გაგრა, სოხუმი, თელავი, ცხინვალის რაიონები, თბილისი, გორი, სამურის, ახალქალაქი</p>
